საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 27 მარტი, 2015 წელი.

№57 (7702)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.sakresp.ge | ფასი 50 თეთრი.

◎ დღეს – ხვალისათვის

ლამაზი შენობები საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მოსახლეობას ლამაზად ემსახურო

პრემიერ-მინისტრის მორიგი ხედვა

რა ურჩევნია ხალხს? – სააკაშვილის ფასადური მმართველობა თუ ღარიბაშვილის არაფასადური ხელისუფლება, გაისად, მომავალ არჩევნებზე გაირკვევა. ყოფილი მთავრობა, რომელიც ჰიპერაქტიურობით გამოირჩეოდა (სახელად „რეჟიმი“) ნაკლებად ქმედითი ჩინოსნებით შეიცვალა (სახელად „უნიათო“)... მაგრამ როგორც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. ამის შესახებ მან გუშინ პრესკონფერენციაზე ისაუბრა და 3-თვიანი ინტერვალის შემდეგ საზოგადოებას ვრცელი ანგარიში ჩააბარა: „მინდა, ვისარგებლო ამ ფორმატით და იქიდან გამომდინარე, რომ, სამწუხაროდ, საზოგადოებამდე ვერ მიდის ის ინფორმაცია, რომელიც მთავრობის გაკეთებულ საქმეებს უკავშირდება, მსურს, ერთგვარი ანგარიში წარვადგინო, როგორია მთავრობის გეგმა, რა გვაქვს დაგეგმილი და ასევე განვლილი სამუშაოები შევაჯამო“, – აღნიშნა მან.

სანამ უკვე გაკეთებულზე ვისაუბრებთ, პრემიერის მკაფიო განაცხადს შემოგთავაზებთ: **„ჩვენ გვირჩევნია პირდაპირ ვუთხრათ სათქმელი მოსახლეობას და ცრუ მოლოდინები არ შევუქმნათ. ის პრობლემები, რომელიც წლების განმავლობაში იყო დაგროვილი, ერთ დღეში ვერ მოგვარდება, ამის ილუზია ნუ გვექმნება!“**

ყველაზე მტკივნეული თემა, რაც დღეს მოსახლეობას აწუხებს, ლარის დევალვაციაა. მისი თქმით, ამაზე გავლენა მოახდინა საგარეო ფაქტორებმა: უკრაინაში ომი, რეალური კრიზისი მეზობელი ქვეყნების ეკონომიკაში, ნავთობის ფასის კლება, დოლარის გამყარება. **„სამწუხაროდ, ჩვენი ეკონომიკა იმდენად ძლიერი არ არის, რომ ასეთ რყევებს გაუძლოს. ლარის დევალვაცია არ იყო ეკონომიკური გუნდის არასწორი ეკონომიკის შედეგი. ზაფხულში ლარი დასტაბილურდება, როცა რამდენიმეათასიანი ინვესტიციები შემოვა და ტურისტთა რაოდენობა გაიზრდება. კრიტიკული ეტაპი გადავლახეთ, ზევით არ წავა. მოსახლეობას მართალია, პრობლემები აქვს, მაგრამ იქნებ კომერციულმა ბანკებმა მოიფიქრონ მექანიზმი და გაზრდილი პროცენტის სხვაობა ერთი-ორი წლით გადაუვადონ“,** – აღნიშნა მან. ვინაიდან არსად არ არის იდეალური ვითარება, გამონაკლისი არც საქართველოა, ამიტომ მთავრობის პირველი პირისთვის ამ ვითარებაში საგანგაშო არაფერია. მითუმეტეს, გამორიცხულია მთავრობაში ცვლილებების განხორციელება! იმის მიუხედავად, რომ ყველა მინისტრის მუშაობით ხელმძღვანელი კმაყოფილი არ არის. მეტი აქტიურობა და მეტი ინიციატივა, მოუწოდებს კოლეგებს პრემიერი.

ყველაზე დიდ იმედს ირაკლი ღარიბაშვილი ინვესტიციების შემოდინებაზე ამყარებს. ინვესტიციები იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის მიმართ ნდობა არსებობს. ბოლო ორ წელიწადში საქართველოს პოზიციები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

მაგრამ ძლიერი რეგიონების გარეშე რომ ქვეყანა ვერ გაძლიერდება, ეს თეზა მთავრობის მეთაურს გაცნობიერებული აქვს. **„სწორედ ამიტომ დავიწყეთ ახალი პროექტი, რომელსაც ჰქვია „ძლიერი რეგიონი – ძლიერი საქართველო“,** – განუცხადა ჟურნალისტებს პრემიერმა, – **პროექტის ფარგლებში ამუშავდება შეჩერებული და მიტოვებული საწარმოები, მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ ბიზნესს, რასაც მოჰყვება ეკონომიკური აღმავლობა, ქალაქების გამოცოცხლება“...** მან ისაუბრა რამდენიმე მსხვილმასშტაბიან პროექტზე – ესენია „ნენსკრა“ და სხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, იწყება სრულიად ახალი ეკონომიკური ურთიერთობები ჩინეთთან, უკვე მოეწერა ხელი „ახალი აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის“ განვითარებას: თებერვალში ჩინეთიდან საქართველოს მიმართულებით პირველი სარკინიგზო ტვირთის ტრანსპორტირება განხორციელდა. ასევე აშენდება ანაკლიის ნავსადგური, აქტიურად მიმდინარეობს ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა. როგორც პორტების, ისე რკინიგზის ტვირთბრუნვა მხოლოდ ერთი მიმართულებიდან დაახლოებით 100-120 მილიონი დოლარის დამატებით ფულად ნაკადს უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკისთვის.

და სად არის 100 საწარმო? – ირაკლი ღარიბაშვილი ჟურნალისტებს მედიატურს სთავაზობს არათუ 100, არამედ 105 საწარმოს დასათვალიერებლად. **„მე ტყუილს არ ვიკადრებ: დაფინანსდა 105 საწარმო და 580 საწარმო გადაიარაღდა“,** – ირწმუნება პრემიერი, რომელმაც ვრცლად ისაუბრა თითქმის ყველა სფეროში განხორციელებულ პროექტებზე: ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, განათლება, კულტურა, ინვესტიციები...

„ყველა რეგიონში, სადაც კი ჩასული ვიყავი, ერთსა და იმავეს მეუბნებიან, რომ ხალხს გავაგებინოთ სიმართლე. გააჩუმეთ ეს ტელევიზიებიო. ვეუბნები, ვერ გავაჩუმებთ, მედია არის თავისუფალი-მეთქი. ხალხის დაკვეთაა, გავაგებინოთ მათ, რას ვაკეთებთ. არ ვამბობ, რომ სასწაულებს ვაკეთებთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ვაკეთებთ კარგს. მედია ქაოსს ქმნის, არადა, აბსოლუტურად სხვა რეალობაა ქვეყანაში. მაგალითად, ერთ-ერთ ტელევიზიაში ჩემი სინქრონი გაუშვეს დამახინჯებულად. თითქოს მე ვთქვი, რომ გასული წელი იყო ყველასათვის საუკეთესო. არადა, ეს ბიზნესმენებმა ერთ-ერთ შეხვედრაზე მითხრეს, ყველაზე მეტი ფული გავაკეთეთ, ვიდრე ბოლო 5 წლის განმავლობაშიო და ეს აზრი გავახმიანე. მაინტერესებს, რას ფიქრობს ხალხი, რომელიც სიცრუის ტირაჟირებას ეწევა?“ – იკითხა პრემიერმა და, რა თქმა უნდა, ლოგიკურმა ჯაჭვმა ნაციონალურ მოძრაობამდე მიიყვანა, რომელსაც დესტრუქციული ოპოზიცია უწოდა. ოპოზიცია, რომელიც გავლენიან მედიასაშუალებას აკონტროლებს, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს კავშირი ევროპელ ლიდერებთან და რომელიც მილიონებს არ იშურებს ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. **„ნაცმოძრაობის მსოფლმხედველობა გაჯერებულია აგრესიით, ძალადობით, სისასტიკით, სიცრუით. რამდენიმე მილიონი დაუჯდათ ხალხის რეგიონებიდან ჩამოყვანა, ეს იყო სასაცილო აქცია. განაწყენდა 10 ათასი კაცი და თურმე მთავრობა უნდა გადადგეს! ეს არის ჩამოყალიბებული სექტა, რომელსაც არანაირი შანსი არა აქვს. განვითარებას წინ ვერაფერი დაუდგება. სიცრუეს უნდა დავუპირისპიროთ სიმართლე – ესაა ჩემი პასუხი! ყველა დესტრუქციულ ძალას სახელმწიფო ადეკვატურ პასუხს გასცემს. დაუნდობელი ვიქნებით კანონის ფარგლებში!“** – იმუქრება პრემიერი, რომელიც საბედისწერო შეცდომას უწოდებს ნაციონალების 9-წლიან მმართველობას. ათასობით გამოუქიებელი მძიმე დანაშაულებს კი ხელისუფლების მთავარ გამოწვევად მიიჩნევს. ამ გახმაურებული საქმეებს, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებაში კითხვებს აჩენს, არა პოლიტიკური, არამედ სამართლებრივად არგუმენტირებული პასუხი გაეცემა.

იხ. 2 გვ.

ბოლომდე ვამხილოთ სააკისტები!

4

„რუსთავი-2“ საფლავში მიჰყვება ბრალდებულ სააკაშვილს!

რა ასლოკინებს „ტაბულას“?

3

◎ მოტივაცია – უკეთესი მთავრობა!

ღამაზი შენობები საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მოსახლეობას ღამაზად ემსახურო

(პირველი გვერდიდან)

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, უკრაინაში მისი ვიზიტის გადადების მიზეზი უკრაინის მთავრობაში რამდენიმე ყოფილი ქართველი მაღალჩინოსნის დანიშვნა არ გამხდარა.

უკრაინასთან მიმართებაში საქართველოს პოლიტიკა არ იცვლება.

„უკრაინა არის ჩვენი მეგობარი სახელმწიფო და მე ძალიან მაშფოთებს ის, რაც ხდება უკრაინაში. მე განვიცდი უკრაინელების ბედს. რაც შეეხება ჩემს ვიზიტს უკრაინაში, ამ ეტაპზე ვარ დაკავებული საშინაო საქმეებით და მე ვცდილობ, მაქსიმალურად თავი ავარიდო გარე ვიზიტებს.

ჩვენ ურთიერთობები არ გაგვიწყვეტია და, რა თქმა უნდა, არც გავწყვეტთ. მაქსიმალურად ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მხარში დავუდგეთ უკრაინელებს და უკრაინის მთავრობას. ვიცი, რომ მათ სჭირდებათ რეფორმები, ვთქვათ იუსტიციის სამინისტროს მიმართულებით, პოლიციის მიმართულებით. მე მათ ღიად შევთავაზე დახმარება. პრეზიდენტ პოროშენკოს დავურეკე რამდენჯერმე, პრემიერ იაცენიუკსაც დავურეკე და ღიად შევთავაზე – ნებისმიერი სფერო დამისახელეთ, რაში გჭირდებათ ჩვენგან დახმარება. მზად ვარ, გავგზავნო 10, 20 კაცი გრძელვადიანი მივლინებით და ადგილზე აღმოვუჩინოთ დახმარება-მეთქი. ამ ეტაპზე ჩვენ არ გვაქვს მათგან რაიმე ოფიციალური მოთხოვნა ან თხოვნა დახმარების თაობაზე“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, სპეკულაციის თემა იყო უკრაინაში ქართველი ყოფილი მაღალჩინოსნების დანიშვნის საკითხიც.

„გასაგებია, არ ვართ აღტაცებული და ბედნიერები, რომ სააკაშვილი და სხვები დაინიშნენ რაღაც სტატუსით, თუნდაც არაფორმალური. მე უკრაინის პრეზიდენტს ვუთხარი, რომ მოსახლეობისთვის ეს უსიამოვნოა. მაგრამ ეს მათი არჩევანია და ეს მათ სჭირდებათ ამ მდგომარეობაში. თუმცა, ჩემი ვიზიტის გადადების მიზეზი არ არის ის ფაქტი, რომ რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსანი დაინიშნა უკრაინის მთავრობაში.

არ მაინტერესებს, რას ფიქრობს ბოცო წიკლაური, აკო მინაშვილი, ან თუნდაც მიხეილ სააკაშვილი ჩვენს პოლიტიკასთან დაკავშირებით, რამდენად მოსწონთ, ან არ მოსწონთ, ამბობს პრემიერი რუსეთთან ურთიერთობის კომენტირებისას. „2 წლის წინათ ჩვენს წინა მთავრობას, სააკაშვილის მთავრობას ჰქონდა აბსოლუტურად გაუაზრებელი პოლიტიკა ნაწარმოები რუსეთის მიმართულებით. მათმა წინდაუხედაობამ და გაუაზრებელმა მოქმედებებმა თავიდან ვერ აგვაცილებინა, ჩვენმა სახელმწიფომ თავიდან ვერ აიცილა აგვისტოს ომი. მიმაჩნია, რომ სწორი პოლიტიკით, კონსტრუქციული და პრაგმატული მიდგომებით ამის აცილება შეიძლებოდა“.

პრემიერ-მინისტრმა რამდენიმე ფაქტორი დაასახელა, რაც საქართველოს რუსეთთან პოლიტიკის დათბობამ მოუტანა.

„რა სარგებელი მოიტანა? ჩვენ დავიწყეთ რუსეთთან პირდაპირი დიალოგი და მოვახდინეთ კონფლიქტის დეესკალაცია, შევძელით ის, რომ ჩვენი ფერმერებისთვის, გლეხებისთვის, მოსახლეობისთვის ბაზარი გავხსენით. ექსპორტი გაიზარდა 468%-ით. გავიტანეთ რუსეთის ბაზრაზე ღვინო, ბორჯომი, მინერალური წყლები, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქცია. მაგალითს გეტყვით, რომ კომპანია „ბორჯომს“ 400%-იანი სუფთა მოგება ჰქონდა 2013 წელს 2012 წელთან შედარებით“, – აღნიშნა პრემიერმა.

მთავრობამ ორივე რთველი წარმატებით ჩაატარა, ბევრი მეღვინე გაძლიერდა და სულ რაღაც ერთ წელიწადში რამდენიმე ახალი ღვინის ქარხანა აშენდა, რის შედეგადაც, კახეთის რეგიონსა და რაჭაში 290 მილიონი ლარი შევიდა, რაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯიბეზე პირდაპირ აისახა.

სარგებელია ის, რომ ძალიან ბევრი სოფლის მეურნეობის პროდუქცია გადის რუსეთის ბაზარზე. მოსახლეობას საშუალება აქვს, გაყიდოს საკუთარი ხელით მოყვანილი სხვადასხვა პროდუქცია. გონივრულმა და კონსტრუქციულმა მიდგომებმა ხელი შეუწყო უსაფრთხოების გაძლიერებას არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ რეგიონში. ამან მოიტანა ის სარგებელი, რომ „ტატა ჯგუფი“, რომელიც არის ერთ-ერთი ნომერ პირველი მსოფლიოში გიგანტი კომპანია, გადაწყვიტა, საქართველოში შემოვიდეს და 500 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიცია შემოიტანოს. ღარიბაშვილმა ის კომპანიებიც დაასახელა, რომელთაც სურს, რომ საქართველოში ენერგეტიკაში 1 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ჩადონ.

მისივე თქმით, სააკაშვილი ოცნებობდა, გაეხსნა რუსეთის ბაზარი. მხოლოდ ოცნებობდა, მაგრამ მას ამის შანსი არ ჰქონდა, რადგან დამანგრეველი პოლიტიკა აწარმოა საქართველოს წინააღმდეგ.

„შედეგად მივიღეთ „სარგებელი“ ამ არაგონივრული და არაკონსტრუქციული პოლიტიკისა, რომელიც სააკაშვილმა განახორციელა და ეს „სარგებელი“ არის ის ზიანი, რომელიც ჩვენს მოსახლეობას მიადგა. 105 დამატებით ახალი სოფელია ოკუპირებული დღეს. აგვისტოს ომის შემდეგ ორივე რეგიონი ოკუპირებულია ოფიციალურად. ამან გამოიწვია აღიარება რუსეთის მხრიდან და 25 000 დამატებით ახალი დევნილი, რომელიც ჩაასახლეს სამარცხვინოდ – მოსახლეობას პატარა სახლები აუშენეს, აქაც ფული გააკეთეს თვითონ. ეს ჩემთვის მიუღებელია“, – განაცხადა ღარიბაშვილმა და დასძინა, დღეს რომ სააკაშვილი მთავრობის მეთაური, ან პრეზიდენტი ყოფილიყო, გაცილებით უარესი ვითარება იქნებოდა საქართველოში, ვიდრე უკრაინაშია.

მისივე თქმით, ამერიკელ თუ ევროპელ ლიდერებს მოსწონთ საქართველოს მთავრობის პრაგმატული და კონსტრუქციული მიდგომა.

პრემიერი „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსაც შეეხო: **„თუ არ არის რაღაც საკითხზე კოალიცია შეთანხმებული და ჯერ არც კი გამართულა კონსულტაციები, მიმაჩნია, რომ უფრო სწორი იქნება, ჯერ გუნდის შიგნით მოხდეს ამის განხილვა და შემდეგ მოხდეს ამის განსაჯაროება. ეს არის მუშა პროცესი. არც ერთი ადამიანი არ ვართ იდეალური, არც მე ვარ, არც მინისტრები არიან, არც პრეზიდენტი და არც პარლამენტის თავმჯდომარე. ვცდილობთ, რომ ვიყოთ უკეთესი, ამას რამდენად კარგად ვახერხებთ, ეს საკითხავია, მაგრამ მე გარწმუნებთ, რომ გვაქვს მოტივაცია, რომ უკეთესი მთავრობა ვიყოთ, უკეთესი პარლამენტი გვქონდეს, უფრო ძლიერი ინსტიტუტები გვქონდეს, უფრო მჭიდრო ურთიერთობა გვქონდეს ერთმანეთში“,** – აღნიშნა მან და ასევე გიორგი მარგველაშვილთან ურთიერთობაზეც ისაუბრა. ამბობს, რომ ზუსტად ისეთივე ურთიერთობა აქვს, როგორსაც კონსტიტუცია ითვალისწინებს. რაც შეეხება მთავრობის მისვლას პარლამენტში, პრეზიდენტს მოსასმენად მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.

მისი თქმით, აჭარაში ყველაფერი კონტროლის ქვეშ არის. იგი აჭარაში ვადამდელ არჩევნებს არ ელოდება.

„ყველა ადამიანი, რომელმაც უღალატა „ქართულ ოცნებას“ და ქართველი ხალხის არჩევანს, საქართველოს მოსახლეობის წინაშე აგებს პასუხს. არ არის ჩემთვის საინტერესო არც მურმან დუმბაძე, არც ჯემალ ფუტკარაძე, ესენი ჩვეულებრივი მოღალატეები არიან, არ არის საინტერესო მათზე საუბარი. ხალხს არ აინტერესებს არც მურმან დუმბაძე, არც ჯემალ ფუტკარაძე და არც მედეა ვასაძე“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერი ნატოსთან მიმართებაში უმრავლესობის წევრი დეპუტატის გოგი თოფაძის განცხადებებსაც არ იზიარებს:

„რაც შეეხება გოგი თოფაძის განცხადებებს, ეს მისი პირადი აზრია და ეს არ წარმოადგენს კოალიციის აზრს. ზოგადად მე ვფიქრობ, რომ ეს თემა და მისი კომენტარი არის ზედმეტად აჟიტირებული და გირჩევდით, დიდი დრო არ დახარჯოთ ამ თემაზე. ეჭვი არავის ეპარება, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა არის აბსოლუტურად ნათელი, ეს არის ღიად დეკლარირებული, საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული. ჩვენ გვაქვს სრული კონსენსუსი ამ საკითხთან მიმართებაში და საქართველოს მთავრობა ამ კურსს და ამ პოლიტიკას ეფექტიანად ახორციელებს“, – განაცხადა მან.

პრემიერმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თოფაძის ეს განცხადება მისთვის მიუღებელია, თუმცა, ამაში ტრაგიკული და განსაკუთრებული არაფერია. „იმედი მაქვს, რომ „მრეწველები“ დაადასტურებენ მათ აზრს, რომ იზიარებენ სრულად ჩვენს მიერ გაცხადებულ საგარეო პოლიტიკას“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება კითხვას, მოიაზრებს თუ არა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „მრეწველებს“ მათ გვერდით, ღარიბაშვილმა უპასუხა, **„ვნახოთ, არჩევნებამდე დიდი დროა“.**

„რეიტინგები უსაქმურების საქმეა“, – ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი IRI-ს კვლევებზე დასმულ შეკითხვას. მისი თქმით, მთავრობა იქნება, პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე თუ მინისტრები, რომლებიც ოცნებობენ რეიტინგზე, გულწრფელები თავიანთ საქმეში არ არიან.

„ჩემი საზრუნავი არის ლარი, სამუშაო ადგილები და არა რეიტინგები. რეიტინგები უსაქმურების საქმეა. რეიტინგებზე არასდროს გამიკეთებია აქცენტი და არასდროს მიმიქცევია ყურადღება. მთავრობა იქნება, პარლამენტის თავმჯდომარე თუ პრეზიდენტი ან მინისტრები, რომლებიც მხოლოდ რეიტინგებზე ფიქრობენ და ოცნებობენ, არ არიან გულწრფელი მინისტრები, პრემიერები და პრეზიდენტები“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, თუ მინისტრებს მაღალი რეიტინგი აქვთ, ეს მთავრობის მაღალრეიტინგულობაზე მიუთითებს.

„ჩემთვის მთავარია, მოსახლეობა იყოს კმაყოფილი მთავრობის მუშაობით. თუ ჩემი მინისტრები იქნებიან მაღალი რეიტინგით მოსარგებლე, ეს ჩემთვის საინტერესოა, რადგან მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობა, როგორც ერთიანი, მაღალრეიტინგულია. რეიტინგებზე არ უნდა ვიფიქროთ, უნდა ვიფიქროთ მეტი საქმის კეთებასა და იმაზე, თუ როგორ შევუმსუბუქოთ მოსახლეობას მდგომარეობა“, – აღნიშნა პრემიერმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შიდა ქართლის გუბერნატორის ზურაბ რუსიშვილის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს ცილისწამება უწოდა. თუკი ჟურნალისტის მიერ გახმიანებული ინფორმაცია, თითქოს გუბერნატორი ფეშენებელურ სახლს იშენებს ატენის ხეობაში და ბიზნესინტერესები აქვს, არ დასტურდება, პრემიერი ურჩევს გუბერნატორს ჟურნალისტს სასამართლოში უჩივლოს.

კორუფცია ის ერთ-ერთი მძიმე თემაა, რომლის გამო ნაციონალები „ქოთქოთობენ“ ხოლმე, იმის მიუხედავად, რომ ამის მორალური უფლება ნამდვილად არ აქვთ. პრემიერი ღარიბაშვილი და მისი საახლობლო ამ ბრალდებების ყველაზე დიდი მსხვერპლია. მართალია, პრესკონფერენციაზე ამის შესახებ მისთვის კითხვა არავის დაუსვამს, მაგრამ ღარიბაშვილმა ეს მომენტი თვითონ ახსენა: **„ჩემზე ამბობენ, თითქოს ბატუტების ყიდვით ვარ დაკავებული და მფრინავი ოთახები მაქვს დაქირავებული. ეს არის შეურაცხყოფა და უპატივცემულობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ“.**

როცა პრემიერი ამას ამბობდა, სასტუმრო „ჰოლიდეი-ინის“ შესასვლელთან რამდენიმე ათეული ადამიანი „პირგამეხებული“ იდგა აქციაზე და სასწრაფო გადადგომისაკენ მოუწოდებდა. სიმბოლურად კი, მატრასს დაათრევდნენ, ოღონდ მას ბატუტი ნამდვილად არ ჰქონდა...

თეა მოსია

„რუსთავი-2“ საფლავში მიჰყვება ბრალდებულ სააკაშვილს!

...ოთხშაბათ საღამოს ნანუკა ჟორჟოლიანმა კიდევ ერთხელ გაგვახარა. უკრაინაში გადაბარგებული, დიდი ხნის მონატრებული ნაციონალები ტელეეკრანიდან „ჩაგვახუტა“.

მე განსაკუთრებით იმერეთის ყოფილი გუბერნატორის გია გეწაძის დანახვამ გამახარა, ცუდად დადგმული სიუჟეტიდან აშკარად ჩანდა, რომ ეს უმწიფარი და საკუთარი გავით ბოთლის თავზე მოთამაშე კლოუნი (გაიხსენეთ ცნობილი კადრები მაშინ მთლად ახალბედა გუბერნატორის „ქეიფიდან“) ერთი ნაბიჯითაც ვერ წასულა წინ.

— მოდი, მოდი, ცოცხალი ადეიშვილი გაჩვენო, — ეუბნება გეწაძე ჟორჟოლიანს...

შეაღებს კარებს... ფაფუ, ადეიშვილი წასულა!

ვითომცდა, ერთი საათის წინ იქ იყო.

ნანუკას ადეიშვილზე კრინტი არ დაუძრავს, მიხვდა, რომ გეწაძემ გააცუცურაკა...

— ილიას უნივერსიტეტიდან სტუდენტები მესიჯებს მიგზავნიან, რატომ გვიღალატე, ძალიან გვენატრებიო, — იღრიჭება გეწაძე.

— რატომ გითვლიან ღალატად უკრაინაში დაწინაურებას? — ეკითხება ნანუკა.

— არა, არა, მეხუმრებიან, უბრალოდ, ვენატრები...

...ეჰ, ჩემო ძვირფასო ნაციონალებო!, ვაი იმ უნივერსიტეტს, რომლის სტუდენტებსაც „პროფესორი“ გია გეწაძე ენატრება და ვაი იმ გაუბედურებულ ქვეყანას, რომელსაც გია გეწაძე იუსტიციის მინისტრის მოადგილედ ეყოლება!

* * *

— ვერაფრით შევეგუე დილის შვიდ საათზე ადგომას, უკრაინა საოცრად ბიუროკრატიული, ჩამორჩენილი საბჭოური ქვეყანაა, ცხრა საათზე უკვე მთავარ პროკურორთან თათბირზე უნდა ვიყო, თანაც ყოველდღე და შავ პიჯაკსა და ჰალსტუხში გამოჭიმული, — სინანულით ამბობს ნანუკას მეორე რესპონდენტი დავით საყვარელიძე და დასძენს: — თბილისში 11 საათზე ვიწყებდით მუშაობას, სრული თავისუფლება გვქონდა!..

დაბოღმილია საყვარელიძე, ადრე ადგომა, მცირე ხელფასი, ქართულ პარლამენტში ნაციონალური სექტისთვის უსაგნო და უზნეო მხარდაჭერა, დაუმთავრებელი ქეიფები და დროსტარება, სახელი და დიდება ენატრება.

გრძნობს უკრაინის მთავარი პროკურორის „რეფორმატორი“ მოადგილე, რომ მიშას ანკესზე კიდევ ერთხელ წამოეგო და მწარედ მოტყუვდა.

შესაძლოა, უკან დაბრუნებაც უნდა, მაგრამ... არადეკვატური და გაუწონასწორებელი მიშა რომ ჩაარტყამს თავში, თანაც პარლამენტში მისი ადგილი უკვე შეავსო ნაციონალური პოლიტიკის დავიწყებულმა, მაგრამ უკვდავმა სახემ ეკა ხერხეულიძემ!..

* * *

ნანუკა ჟორჟოლიანი ბოლო სიუჟეტში მთელი ნახევარი საათი დასდევს ატროყილ და მოუსვენარ მიშა სააკაშვილს, წინასწარ დაგვიანონსა, რომ „მონატრებულ“ პრეზიდენტთან ინტერვიუ ძალიან სანტერესო იქნებაო (რატომ არის დარწმუნებული, რომ ძალიან საინტერესო იქნება?!) და გაუაზრებელ, გონიერი მაყურებლისთვის აშკარად გამაღიზიანებელ შეკითხვებს უსვამს.

მათ შორის ასეთს: თქვენ არასდროს არ აკონკრეტებთ, თუ როდის დაბრუნდებით საქართველოში... მაინც როდის დაბრუნდებით?

ერთობ ჩასუქებულ-ჩაკურატებული, ძველებურად ცხვირმოუხოცავი მიშა (საჩვენებელი თითი კიდევ ერთხელ აისვ-ჩამოისვა ზედა ტუჩზე!), ამჯერად ნორმალურად პასუხობს:

ეს ქართველ ხალხზეა დამოკიდებული, ქართველ ხალხზე და გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე... თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ...

აქ მიშა ჩაფიქრდა და სულ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი. „ქართული ოცნების“ მაგივრად უკრაინის ჩამყაყებულ პოლიტიკურ ტრადიციებზე გადაერთო. კვირაში ორჯერ პეტრე პოროშენკოსთან შვიდსაათიანი თათბირები ტარდება, რაც მეტია თათბირი, მით ნაკლებია საქმე, ჩვენ ბევრ რამეს შევცვლით აქ, მაგრამ მთავარი საკეთებელი უკრაინელებმა უნდა გააკეთონ...

ამას ამბობს უკრაინის პრეზიდენტის „საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს“ შტატგარეშე თავმჯდომარე, პოროშენკოს და მთელი უკრაინის გადარჩენის იმედი (საბრალო უკრაინა)...

ამ დროს ეკრანზე ჩნდება ძველი, მოდელირებული კადრი, თუ როგორ ეხვევა მიშა ვიქტორ იუშჩენკოს (ისიც მესამე პრეზიდენტი ყოფილა უკრაინისა) და არის ერთი ხვევნა-კოცნა საკუთარი ხალხისგან გარიყული, ჩაფლავებული პოლიტიკური ლიდერებისა...

ბოლოს მიშა და ნანუკა მიიჩქარიან აეროპორტისკენ, რა თქმა უნდა, არაადეკვატური მიშა აგვიანებს რეისზე, მაინც ასწრებს აეროპორტის კაფეში ძვირფასი ნანუკას ყავაზე მიპატიჟებას, დაცვის ბიჭი კი თითებს იკვნეტს და... მიშას საათზე მიუთითებს... მიშა ჩანთას იღებს და ცარიელი, აბსოლუტურად ცარიელი მოსაცდელიდან სადღაც გარბის, უკუნში უჩინარდება...

ალბათ, გაფრინდა დასავლეთ ევროპაში ან ამერიკაში, მიშას ხომ კაბინეტში ყოფნა არ უყვარს, სულ დაფრინავს, დაფრინავს და მის „პიარშჩიკებთან“ ისე უდარდელად იღრიჭება, ხშირად იმდენ სისულელეს ლაპარაკობს, რომ საკუთარი გაუბედურებული ქვეყანა ფეხებზე ჰკიდია.

ახლა უკრაინელებს ატყუებს, ბოლომდე სურს ჩაძიროს საქართველოს ძველისძველი მეგობარი, ერთმორწმუნე უკრაინელი ხალხი...

მიშასთან ერთად ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა, მათი პოზიცია და რწმენა ფეხქვეშ ითელება ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მიერ. ვითომ არ იცის ნანუკა ჟორჟოლიანმა და მისმა პროკურორმა შეფმა, „ჯოჯოხეთა“ ნიკა გვარამიამ, რომ დამნაშავე, არამზადა და წითელი ცირკულარით ძებნილი მიშა სააკაშვილი ვერასოდეს დაბრუნდება საქართველოში, ან, თუ დაბრუნდება, მაშინვე დაიჭერენ!

„რუსთავი-2“ ბოლომდე საფლავში მიჰყვება სისხლის სამართლის დამნაშავე ყოფილ პრეზიდენტს და ყოველდღე მის გამართლებას ცდილობს...

ნანუკას მორიგი, საათნახევრიანი მიშისტური შოუს შემდეგ კიდევ ერთხელ ვეკითხები საქართველოს დღევანდელ ზედმეტად მიმტევებელ ხელისუფლებას: როდის შემდეგ ითვლება კერძო ტელეკომპანიის ანტისახელმწიფოებრივი, ძირგამომთხრელი, მოსახლეობის უმრავლესობის დამთრგუნველი, ერში არასრულფასოვნების კომპლექსის დამკვიდრებისთვის გამიზნულად მებრძოლი პირი თავისუფალ სიტყვად?

სპარტაკ ქოგულია

© წკეპლიკა

რა ასლოკინებს „ტაბულას“?

მაგ სიმართლით იარეთ და წაიტეხთ კიდეც კისერს, ტყუილმფრქვევიანებო!

— ერთს რომ ერთი მივუმატოთ, რამდენია ბაჭია? — არ დაიბნა ბაჭია, ორი თათი ასწია.

— ეს ლამის ჩემი ბავშვობის დროინდელი საბავშვო ლექსია.

მის „ასაკს“ ხაზგასმით იმადღა აღვნიშნავ, რომ მავანთ მივანიშნო: ის, რაც მაშინდელმა ბაჭიამ იცოდა, დღევანდელმა ოკეანისგაღმელებმა და „ოკეანედალეულებმა“ არ იციან, ან თავიანთი აკვიატებული, მაგრამ აუხდენელი მიზნით (ხელისუფლებაში ნაცების დაბრუნებას ვგულისხმობ) შეპყრობილებმა არ სურთ, რომ იცოდნენ.

აი-რაი თუ ენ-დი-აი რა ხვითოებიც არიან და როგორი ობიექტურობითაც ადგენენ კითხვებს და ამით დადგენილ რეიტინგის შედეგებს, ჩვენთან ყველამ კარგად იცის (სხვათა შორის, სწორედ ამ თავიანთი „ობიექტურობითაც“ საგრძნობლად ამცრობენ ისინი ქართველთა თვალში ზოგადად ამერიკის და, კერძოდ, იქაური დემოკრატიისადმი ნდობის ხარისხს!).

ისიც ვიცით, ეს „უიმისოდ“ (მიმიხვდებით, მიშას თუ ნაციონალებს კი არა, კიკუს სანუკვარ ფარას ვგულიხმობ!) რომ არ ხდება: მაგრამ ჩვენ, საქართველოს მოსახლეობამ, მაინც ხომ ვიცით, რა და როგორ არის?

ეს შესავალი გუშინდელ პრესკონფერენციაზე პრემიერ-მინისტრისთვის ტელეკომპანია „ტაბულას“ წარმომადგენლის მიერ დასმულმა კითხვამ დამაწერინა: **აი-რა-ის გამოკვლევების თანახმად, არჩევნების წინ მოსახლეობის მხოლოდ ორი პროცენტი ითხოვდა ყოფილი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირთა საქმიანობის გამოძიებასა და დაპატიმრებას და თქვენ რად არ ითვალისწინებთ ამასო.**

— ჩემო იმანო („ტაბულას“ კორესპონდენტს მივმართავ), — აი-რა-იმ თავისი საქმნელი როგორ, რანაირად და რატომ გააკეთა, ვიცით. როგორც ვთქვი, მუსიკის შემკვეთ-გადამხდელის ვინაობა-რაობაც ცნობილია), შენ ვინ შეგიკვეთა კითხვის დასმა, ესეც ნათელია, მაგრამ ხომ არსებობს (ყოველ შემთხვევაში, უნდა არსებობდეს)შუბლზე ერთი ძარღვი?

რაც ორ პროცენტზე მეტი ითხოვდა მათს დაპატიმრებას, ტყუილმფრქვევით შეიარაღებულო ჟურნალისტო? ხომ იქნები ღირსი, კახურად რომ მოგიქციონ?

მაგ სიმართლით ევლოს მთლიანად „ტაბულას“ და მის „კდემამოსილ“ ხელმძღვანელს და მაყურებელში რა რეიტინგიც გექნებათ, კარგად ნახავთ.

ყოველ შემთხვევაში ის სლოკინი, რაც მაგ შეკითხვის გამო ტელემაყურებელთაგან თქვენი მისამართით გუშინ წამოსულმა „ხოტბის“ ნიაღვარმა, ალბათ, უკვე დაგაწყებინათ, კარგა ხანს არ შეგიწყდებათ!

რუსლან რუსია

© კაკალ გულში

წერილოკანი ოჩაზები

● **საქართველოს პარლამენტის წევრს, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ეკატერინე ბესელიას, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში საქართველოს პარლამენტის წევრმა ირმა ნადირაშვილმა ბრალი დასდო კორუფციაში.**

უნდა აღიძრას თუ არა ამ ბრალდების გამო სისხლის სამართლის საქმე და უნდა დაისაჯოს თუ არა, ან კორუმპირებული ბესელია, ან ცილისმწამებელი ნადირაშვილი?

● **რატომაა, რომ ყველა ეპოქაში, წელიწადის ყოველ დროს, ყველანაირ ამინდში, აირაი და ენდიაი, მხოლოდ ნაცმოძრაობის და ალასანიას მოსაწონ შედეგებს აქვეყნებენ ხოლმე?!**

● IRI-ს კვლევებით დადგინდა, რომ... (ვისაც რა გაგეხარდებათ, ის ჩაწერეთ).

● IRI-ს კვლევის მიხედვით, რომელი პოლიტიკოსი იმსახურებს მოსახლეობის ნდობას, შედეგები ასე განაწილდა:

მარგველაშვილი — 62%;
სერგეენკო — 62%;
ალასანია — 57%.
62+62+57=181(?!)
მე ვერ გავიგე. თქვენ?

● **ოთო კახიძის მუზა ვინ არის?**

● **ზაქარეიშვილი ინგას ფანჯრებთან სამღერლად 23:00-სთმდე უნდა მივიდეს და ხმის ტემბრი 55 დეციბალს არ უნდა აღემატებოდეს!**

● **მურმან ისკარიოტელი!**

● **ნადარეიშვილს არ უთხრათ ზაქარეიშვილის ლექსების ამბავი, თავის გაჭირვება ეყოფა.**

● **სამი რამ მოაცებს ამქვეყნად: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, ვისთან აყენია ფიფლმეტრები და IRI გამოკითხული ხალხი.**

● **თურმე ნუ იტყვით და, აირაი, — საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, ანუ — ს ა რ ი ყოფილა. სარი კი ის ნივთია, რომელიც ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, ყველაზე ხშირად, გასათხრელად გამოიყენება. „-და კითხვა: ვინ ვის?: ბებერ გულში ლახვრად მაჩნია“**

● **ბიძიებო და დეიდებო ის პლანი მაშონინეთ, ქართველი პოლიტიკოსები რო ეწევიან რაა, გეხვეწებით თქვენი მუხლების ჭირიმე...**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ შეუყვირეგ – დაფრთხეგა!

ბოლომდე ვამხილოთ საკისტები!

ბაძია ნაცები სულ იმას გაიძახიან – ბიუჯეტი და პენსიები გავზარდეთო! ყველასთვის კარგად ცნობილია, რის ხარჯზე გაზარდეს, რაც გაზარდეს. მათგან მხოლოდ ერთს აღვნიშნავ: საფუძველი ჩაუყარეს ქართული მიწების გასხვისების საქმეს. ახლა როცა ამჟამინდელმა ხელისუფლებამ შეზღუდა უცხოელებზე მიწების მიყიდვა, ატეხეს ალიაქოთი – ინვესტორების ჩამოსვლას აფერხებენო. თუ არ შეიზღუდა უცხოელების ყოფნა საქართველოში და არ დაწესდა მიწების იჯარით გაცემის კანონი, სულ მალე ჩვენი ქვეყანა სათარეშო დერეფნად გადაიქცევა და ეს ვითარება რა შედეგს გამოიღებს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

ეგრეთ წოდებული ნაციონალები ხშირად გაჰყვირიან – გაღატაკებული ქვეყანა ჩავიბარეთო. მაგრამ იმას კი არ ამბობენ, რამ შექმნა ასეთი პირობები? – სამოქალაქო ომმა. იყო ქაოსი და განუკითხაობა. სამოქალაქო ომის დროს ყველა სახელმწიფოში ასე ხდება. ეს, ამგვარი ომების თანამდევი ატრიბუტია. მავანთა არაკეთილსინდისიერი ქმედების შედეგად, როდესაც ძალაუფლება ხელიდან ხელში გადადიოდა, დაცარიელდა ბიუჯეტი, გაიყიდა ავეჯი, ავტომანქანები, რაც საბჭოთა პერიოდში საქართველოში ჭარბად იქნა შემოტანილი და ინახებოდა საწყობებში. მათი საერთო ფასი ათეული მილიონი დოლარით განისაზღვრებოდა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ჩვენზე ძლიერი ქვეყნებიც კი ამგვარ სიძნელეებს ვერ გაუძლებდნენ და უფრო მრავალი პრობლემა შეექმნებოდათ. საქართველომ გაუძლო – სახელმწიფოებრივი სტრუქტურებიც ჩამოყალიბდა, მნიშვნელოვანი პროექტებიც განხორციელდა (ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი) და მიიღწა შეთანხმება საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. შემდგომში კი ნაცების უგუნური ქცევით, ეს ბაზებიც დაბრუნდა საქართველოში და დამატებით ტერიტორიებიც დაიკარგა. აგრეთვე აფხაზეთი და სამაჩაბლო რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა.

ცნობილია, რომ ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით სააკაშვილის მომხრეები საბოტაჟს ეწეოდნენ. ამ ფაქტს ჯერ-ჯერობით ყურადღებას არავინ აქცევს. სწორედ ამისთვის მკაცრად დასასჯელები არიან ნაცების ლიდერები.

შეიძლება ვინმეს არასერიოზულად მოეჩვენოს, მაგრამ ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების ფიზიკური სიძლიერე. ამგვარი რამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება.

მოვიყვან ასეთ ფაქტს. ზაზა სიორიძე, ცნობილი მოჭიდავის იური სიორიძის შვილია. თავადაც მოჭიდავეა. არის მეტად ზრდილი და ინტელექტუალი კაცი. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიიღო. ერთხელ პარლამენტში ბატონები ზაზა და მიხეილ მაჭავარიანი წაკამათდნენ. რასაკვირველია, სიორიძე მის სისულელეებს არ აჰყვა და ასე მიმართა: „შენ, ჩემი წონითი კატეგორიის არ ხარ და უსამართლობა იქნება რამეში გაგეჯიბრო“. რასაკვირველია, ბატონმა ზაზამ იგულისხმა ინტელექტუალური „წონა“. მაჭავარიანი კი დაფრთხა, უმალვე ხმა ჩაიკმინდა და სასწრაფოდ გაეცალა მას. ეგონა, განაწყენებული ზაზა თავში ერთი-ორს წამითაქებს და ისედაც მოვლენების სუსტად აღმქმელი გონება სრულიად მომეშლებაო. რასაკვირველია, ზაზას მხრიდან ამგვარი ქცევა გამორიცხული იყო. ახლა გამოდის მაჭავარიანი ეს მშიშარა არსება, და მაღალი ხმით სხვებს აკრიტიკებს, ცილს სწამებს და ქართველთმოძულე სააკაშვილს გვერდში უდგას. ვინც მაგისი ფსიქიკა და გონებრივი შესაძლებლობა იცის, საკმარისია ვინმე ღონიერმა ომახიანად შეუყვიროს და უმალვე სოროში შეძვრება.

ზემოხსენებული ფაქტის მოყვანა აუცილებელი იყო, ვინაიდან მსგავს მაგალითებს ხშირად შეხვდებით საქართველოში. ყოვლად შეუწყნარებელია ადამიანების ფიზიკურმა ძლიერებამ განაპირობოს პოლიტიკა. მართალია, მოცემულ შემთხვევაში მან სასარგებლო შედეგი გამოიღო – ცრუპენტელა მაჭავარიანი დააფრთხო, მაგრამ ყოველთვის ამგვარ შემთხვევას ხომ არ ექნება ადგილი!

ზურაბ გიორგაშვილი,
შრომის ვეტერანი, დამსახურებული ინჟინერი ქ.რუსთავი.

◎ რა მოხდა ჟენევაში?

„მჟავე“ ფიზიონომია „დიპლომატიად“ წოდებული „დოყლოპატიის“ სახეა

„იმიერკავკასიაში უსაფრთხოების თაობაზე საერთაშორისო დისკუსიათა“ (მარტო სახელწოდება რად ღირს!) მორიგი რაუნდის დასრულების შემდეგ, ოსურ ოფიციოზში გაჩნდა ინფორმაცია ერთ- ერთი საკითხის შესახებ, რომელიც იქ, თურმე, „საერთაშორისო დონეზე“ განიხილებოდა.

წავიკითხოთ მთლიანად: **„სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა გამოიტანეს „აღმოსავლეთ ოსეთის“(!) ისტორიული ტერიტორიების საკითხი, რომელთაც ამჟამად(!) საქართველო აკონტროლებს. აღინიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება ატარებს პოლიტიკას, რომლის მიზანია („აღმოსავლეთ ოსეთიდან“) ოსური მოსახლეობის გამოდევნა, უკრძალავს მათ წინაპართა საფლავებისა და საკულტო ნაგებობების მონახულებას“.**

აი, ასე.

რომელი „აღმოსავლეთ ოსეთი“? ამ ე.წ. „საერთაშორისო დისკუსიის“ მონაწილეებმა (მათ შორის დასავლეთის წარმომადგენლებმა) უკვე კარგად უწყიან, რომელიც: „აღმოსავლეთ ოსეთი“, ანუ... თრუსოს ხეობა და ყაზბეგის რაიონი!

აკი ამბობდა ედუარდ კოკოითი, „ისტორიული მიწები უნდა დავიბრუნოთო“.

არადა, როგორც წინა, ასევე ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები დღემდე ჩლუნგად გვიმეორებენ, რომ თურმე ჟენევის დისკუსიები **„ძალზე სასარგებლო ფორმატია, რომლის ფარგლებშიც საქართველო იცავს საკუთარ ინტერესებს“.**

არადა, რეალურად, როგორც ბოლო რაუნდმა დაადასტურა, ამ ფორმატს სწორედ სეპარატისტები იყენებენ, რათა საერთაშორისო ასპარეზზე არა მხოლოდ 2008 წლის ეთნიკური წმენდისა და ოკუპაციის შედეგები „გააპრავონ“, არამედ **უკვე იმდენად გათავხედდნენ, რომ „აღმოსავლეთ ოსეთის“, ესე იგი საქართველოსგან ახალ-ახალი ტერიტორიების წაგლეჯის საკითხიც „შეაპარეს“ იმავე საერთაშორისო თანამგობრობას, სადაც მათ ტრიბუნა ქართულმა დიპლომატიამ შეუქმნა ამ ე.წ. „ჟენევის დისკუსიებით“.**

ხოლო ამგვარი „თანდათანობით შეპარება“ რით მთავრდება ხოლმე საბოლოოდ, – თუნდაც ყირიმისა და დონბასის ბოლოდროინდელი მაგალითი ადასტურებს.

ოს ან აფხაზ სეპარატისტებს რას ვერჩით? – მიიღეს ტრიბუნა და, როგორც რუსები იტყვიან, ამ ტრიბუნას აქტიურად იყენებენ, რათა „ბროდვიგაც“ საკუთარი ინტერესები. მაგრამ **„ჟენევის“ ბოლო რაუნდმა არა მხოლოდ ამ („აღმოსავლურ ოსური“) სიუჟეტით, არამედ ბევრი სხვა თვალსაზრისითაც ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. უფრო ზუსტად, მიუახლოვდა იმ ზღვარს, როდესაც მათში მონაწილეობა პირდაპირ დანაშაული ხდება, რაკი მხოლოდ მტრისა და არაკეთილმოსურნის, ან კიდევ გულგრილი „ფსევდომოკავშირეების“ სავაჭრო (ჩვენს ხარჯზე სავაჭრო) წისქვილზე ასხამს წყალს.**

ჯერ კიდევ დილით, სანამ დისკუსიები დაიწყებოდა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართული დელეგაცია აპირებდა დემარშის მოწყობას, ანუ ჟენევის დატოვებას იმ ე.წ. „ხელშეკრულების“ გამო, რომელიც სწორედ იმ დღეს გააფორმეს კრემლში ვლადიმერ პუტინმა და ლეონიდ თიბილოვმა.

ქართული დიპლომატია აქტიურ კონსულტაციებს აწარმოებდა „მეგობრებთან“ (ესე იგი ევროკავშირთან და ამერიკასთან), რომლებიც, გაეროსა და ეუთოსთან ერთად, მონაწილეობენ დისკუსიებში. ამ კონსულტაციათა შინაარსი ღრმად გასაიდუმლოებულია. თუმცა, როგორც კი ტელეეკრანებზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით დონდუა გამოჩნდა, მაშინვე ცხადი გახდა, როგორ განვითარდა მოვლენები. ამას სხვადასხვა წყარო ადასტურებს. და მაინც, ყველაზე მეტყველი მაინც თვით ქართველი დიპლომატის „მჟავე“ სახე იყო.

ბუნებრივია, ქართულმა დიპლომატიამ „მეგობრებთან“ დახურულ კარს მიღმა მოლაპარაკებებისას დასვა საკითხი, რომ კრემლში მომხდარის ფონზე ჟენევის კონსულტაციებს აზრი არ ჰქონდა და პროტესტის ნიშნად ეს კონსულტაციები, როგორც მინიმუმ, უნდა გადადებულიყო, ანუ საქართველოს, მის მოკავშირეებსა და საერთაშორისო თანამეგობრობას არა მხოლოდ ბრტყელ-ბრტყელი განცხადებებით, არამედ რეალური დიპლომატიური დემარშით გამოეხატათ პროტესტი.

და სრულიად მოულოდნელად (უბედურებაც ისაა, რომ ეს მოულოდნელი გამოდგა ქართული დიპლომატიისთვის) ჩვენებმა ასეთი პასუხი მიიღეს ეუთოს, გაეროსა და ევროკავშირის წარმომადგენლობისგან: „კი ბატონო, თქვენ თუ გინდათ, დატოვეთ ჟენევა პროტესტის ნიშნად, მაგრამ კონსულტაციები მაინც ჩატარდება – თქვენს გარეშეც, ჩვენი მონაწილეობით!“

ასეთ „დატოვებას“ ისევ „არდატოვება“ სჯობდა, თორემ, რა გამოვიდოდა? რუსული საინფორმაციო საშუალებები მაშინვე მთელ მსოფლიოს მოსდებდნენ, რომ „საქართველოს დელეგაციამ პროვოკაციულად დატოვა ჟენევა“, მაგრამ სხვა მონაწილეებმა „კონსტრუქციულად იმსჯელეს დღის წესრიგის საკითხებზე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა მონაწილეებს გააცნეს თავისი პოზიციები“ და (ანუ) თვით დასწრების ფაქტით და ჟენევის არდატოვებით, „ყველა მონაწილემ დაგმო ქართული მხარის არაკონსტრუქციული მიდგომა“.

მინისტრის მოადგილე დონდუას „მჟავე“ სახეზე, როგორც ცარცის ფურცელზე, ისე იკითხებოდა, რომ ჟენევაში პროტესტის ნიშნად კარის „გამოჯახუნებას“ მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, თუ ასევე მოიქცეოდნენ სხვებიც (ბუნებრივია, რუსეთის, „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის წარმომადგენლების გარდა), მაგრამ ასე არ მოხდა!

„ეუთოსა“ და „გაეროს“ წარგზავნილთა მხრიდან ამგვარი საქციელი გასაკვირი არ არის: ამ ბიუროკრატებს სამსახურებრივად ევალებათ, იყონ „კონსტრუქციულნი“ რუსეთის მიმართ, რომელსაც ორივე ორგანიზაციაში ვეტოს უფლება აქვს. ამიტომ ისინი საკუთარი ნებით არასდროს არაფერს გააკეთებენ ისეთს, რაც რუსეთს არ მოეწონება, გარდა ერთი შემთხვევისა: როდესაც მეორე, ასეთივე ძლიერი წევრი სახელმწიფო ისევე იაქტიურებს, როგორც რუსეთი აქტიურობს!

ეს სახელმწიფოა ამერიკის შეერთებული შტატები! მაგრამ... მინისტრის მოადგილის გამომეტყველებაში ისიც კრთოდა, რომ თვით ჩვენმა მეგობარმა ამერიკამაც კი, ამ შემთხვევაში უარი განაცხადა, აჰყოლოდა საქართველოს დემარშს და იგივე თქვა, რაც საერთაშორისო ბიუროკრატებმა: „თქვენ სადაც გინდათ იქ წაეთრიეთ, ჩვენ არსადაც არ წამოვალთ და შეხვედრას არ დავტოვებთ!“

ისე, რატომღაც არავის მოსდის აზრად (არც წინა და არც დღევანდელი ხელისუფლების დროს), იკითხოს: რატომ და როგორ მოხდა, რომ ჯერ კიდევ 2009 წლიდან(!) დაწყებული, ამერიკის დელეგაციას ჟენევაში მხოლოდ მესამეხარისხოვანი დიპლომატები წარმოადგენენ? თავიდან ხომ სახელმწიფო მდივნის მოადგილე ფილიპ გორდონი „აწონასწორებდა“ გრიგორი კარასინს, რომელიც იმ „დისკუსიათა“ მუდმივი მონაწილეა დღემდე?! თუმცა, ჯერ კიდევ 2009 წლიდან (ვიმეორებ) ამერიკული წარმომადგენლობა ჟენევაში თანდათან შემცირდა და დავიდა „მეშვიდე თანაშემწის მეცხრე რეფერენტამდე!“.

რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი ამერიკელი „მეგობრები“ ამით რუს კოლეგებს „ხურდაში უბრუნებენ“ საქართველოს და ეუბნებიან: „ეს თქვენი გავლენის ზონააო“ – იმავე სტილში, როგორც ობამამ თქვა, რომ „საქართველო იმ გზაზეც არ დგას, რომელიც ნატოსკენ მიდის“.

სხვაგვარად რომ იყოს, ანუ ამერიკა რომ ისევე აქტიურობდეს ჩვენი ინტერესების მხარდასაჭერად ჟენევის „დიპლომატიური ბატალიებისას“, როგორც რუსეთი აქტიურობს იქ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ინტერესების დასაცავად, იგივე „ეუთოსა“ და „გაეროს“ ბიუროკრატებიც ასე იოლად ვერ გაბედავდნენ მხოლოდ რუსეთის მაამებელი პოზიციების დაკავებას გადამწყვეტ მომენტებში, მაგრამ რახან ამერიკას „კიდიხარ“ (რაც ამ ბოლო რაუნდზე ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა!), ისინიც იოლად „გიკიდებენ“.

ამ ლაყე „ევროკავშირზე“ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია – უკრაინის „თავის ტკივილი“ ვერ დაუამებიათ და ეგღა აკლიათ ახლა, რაღაც გაუგებარი „საქართველოსთვის“ აიტკივონ აუტკივარი თავი.

ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ქართული დიპლომატია არ ისწავლის დემარშების განხორციელებას და საკუთარი პოზიციის მტკიცედ დაცვას მაშინაც კი, როცა ეს ჩვენს პარტნიორებს არ აწყობთ – რუსეთთან მიმდინარე ვაჭრობისას. ოღონდ ამას, პოლიტიკურ ნებაზე მეტად, ნიჭი და ოსტატობა სჭირდება, თორემ ყოველთვის ასევე „დაგაბრუნებენ ხურდაში“ შენივე მეგობრები.

და, სხვათა შორის, ამ ფონზე ნურც ნურავის უკვირს, რომ ასპარეზზე გამოდიან გოგი თოფაძის მსგავსი მოღვაწეები, ვინც უკვე ღიად ამბობს, რომ ამგვარი „მეგობრებისა“ და „მოკავშირეების“ იმედად ყოფნას (მუდამ რომ მზად არიან, „ხურდაში დაგაბრუნონ“), ისევ მტერთან მორიგება სჯობს – ეგება „აღმოსავლეთ ოსეთი“ მაინც შევინარჩუნოთო.

მანამდე კი, ზემოხსენებული „მჟავე“ ფიზიონომია „დიპლომატიად“ წოდებული ქართული „დოყლოპატიის“ სახეა!

მიხეილ გეწაძე,
XII-XIII-ენა

◎ აიწონა-დაიწონა

ამ გზაზე „არეული“ ნაბიჯით ხომ არ ვივლით!

მართალია, უახლოესი ისტორიის არც ერთი მონაკვეთი, არსებითად, საქართველოს მეტ-ნაკლებად უღრუბლო არ ჰქონია, მაგრამ შიდა თუ გარე პოლიტიკური დაძაბულობის, ეროვნული ეკონომიკის უსუსურობისა და ლარის გაუფასურების, სამომხმარებლო ფასების ზრდისა და მოსახლეობის საყოველთაო გაღატაკების, საშუალო და მიკრო მეწარმეობისთვის სავალალო შედეგების მხრივ, ახლანდელი პერიოდი მაინც გამორჩეულია.

ლარის დევალვაციის გამომწვევ საგარეო თუ საშინაო მიზეზებზე ლაპარაკი ბოლო დროს ისევე დაუსრულებლად გრძელდება, როგორც ლარის „ციებ-ცხელების“ სავალალო შედეგებზე მსჯელობა. ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიზეზთა შორის არაერთი შიდა ფინანსურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური გარემოება სახელდება, თუმცა კი, ამ მხრივ ექსპერტთა შორის ერთიანი ჩამოყალიბებული ხედვა არ არის. მათ შორის, უწინარესად, ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ მსოფლიო ეკონომიკის სარეზერვო ვალუტა – დოლარი მარტო ლარის მიმართ კი არ გამყარდა, არამედ, უკლებლივ ყველა, მათ შორის ჩვენსაზე გაცილებით მძლავრი ეკონომიკების მქონე ქვეყნების ეროვნული ვალუტების მიმართაც. სხვა მიზეზთა შორის აღნიშნავენ ქართული ეკონომიკის სისუსტესა და განვითარების დაბალ ტემპს, საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდოს ზრდას, ქვეყნიდან უკანონოდ ფულის გატანას, დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერებას, ეროვნული ბანკის არამართებულ, დაგვიანებულ ნაბიჯებს, უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილების ნაკადის შესუსტებას, კომბანკების სპეკულაციურ მოქმედებასა და ა. შ. ყოველივე ამის თაობაზე ლაპარაკი ადრეც გვქონია, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სხვადასხვა პოზიციაზე მდგომი ექსპერტები გამუდმებით გამოდიან, ამდენად ახლა მხოლოდ ცოტა ხნის წინათ თბილისში ვიზიტად მყოფი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელის **მარკ გრიფითსის** განცხადებაზე მინდა, გავამახვილო ყურადღება. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ **ლარის გაუფასურება მთლიანად გარე ფაქტორებითაა გამოწვეული. ვალუტის მცურავი კურსის პირობებში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ამდენად, პროგნოზების გაკეთება ან რაიმე კონკრეტული ზომების წინასწარ გატარება ძალიან რთული საქმეა. მართალია, ლარის გაუფასურებას შოკი მოჰყვა, მაგრამ ასეთივე შოკი ბევრ ქვეყანაში განიცადეს.**

დოლარის მიმართ ლარის კურსის ვარდნასთან დაკავშირებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ემისარმა რამდენიმე რეკომენდაციაც მოგვცა, რომლებიც, უნდა ითქვას, საკმაოდ ზოგადია და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირებას ეხება, ოღონდ არა მისი სოციალური მდგენელის ხარჯზე. მისტერ გრიფითსმა ასევე ეკონომიკური ზრდის ინდიკატორი მაჩვენებლის 2 პროცენტამდე შემცირება გვირჩია, თუმცა კი, იქვე დასძინა, რომ „ესეც გარკვეული რისკების შემცველი პროგნოზია“.

ბუნებრივია, რომ ამ დონის საერთაშორისო ექსპერტის აზრი დიდად სარწმუნოა, თუმცა კი, ბევრ ადგილობრივ ექსპერტს მიაჩნია, რომ ლარის დაუძლურების ერთ-ერთი უმთავრეს მიზეზად მარტო გარე ფაქტორის დასახელება, მცურავი კურსის პირობებში, „ჩვეულებრივ მოვლენად“ აღქმა და ლარის „სნეულების“ ამით ახსნა, მთლად მართებული არ უნდა იყოს, რასაც სხვა არანაკლებ კომპეტენტური უცხოელი ექსპერტებიც აღნიშნავენ.

– დოლარის გაუფასურების მიზეზებზე თუ ვილაპარაკებთ, გასათვალისწინებელია მრავალი აშკარად არასახარბიელო მიკროეკონომიკური პიამეტრი, ასევე რეგიონში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარება, – ამბობს მსოლფიო ბანკის ამიერკავკასიის ბიუროს რეგიონალური დირექტორი **ჰენრი ქელერი**. – ლარის გაცვლითი კურსის ვარდნა მსოფლიოსა და შავი ზღვის აუზში მიმდინარე მოვლენებს ასახავს. მათ შორის საქართველოსთვის, ისევე, როგორც მრავალი სხვა ქვეყნისთვის, უმნიშვნელოვანესია **ნავთობზე ფასების შემცირება, რაც მეზობელ ქვეყნებში რეცესიისა და ეროვნული ვალუტების 30-50 პროცენტით გაუფასურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, უდიდესი სავაჭრო პარტნიორების – რუსეთისა და უკრაინის დაპირისპირება, რომელიც მარტო საქართველოს კი არა, არამედ მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზეც უაღრესად უარყოფითად აისახება**.

მისი თქმით, აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნულისა და სხვა მიზეზთა გამო, **ვერც საქართველოს მთავრობა, ვერც ქვეყნის ეროვნული ბანკი ამ პროცესს ვერ „ჩააქრობენ“, ამიტომ ეროუნული ბანკის ინტერვენციები ხანგრძლივ პერიოდში სასურველ შედეგს ვერ მოიტანს**. აქედან გამომდინარე, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის რეგულირებაში ჩართვა, ეროვნულმა ბანკმა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოახდინოს, თუმცა, ვითარებისდა შესაბამისად, ნაბიჯები მთავრობასთან კოორდინირებულად უნდა გადადგას, საზოგადოება კი მოვლენათა კურსში უნდა იყოს, რათა უსაფუძვლო აჟიოტაჟს დასაყრდენი არ გაუჩნდეს.

მისი აზრით, ახლო **მომავალში დოლარის კურსი ორი ლარის ნიშნულზე ოდნავ მეტზე (დაახლოებით, 2,05-2,10-ის დონეზე) დადგინდება**.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ცოტა ხნის წინათ ექსპერტი **ირაკლი ლექვინაძე** აღნიშნავდა, რომ ლარის კურსის რყევები მთელი გაზაფხულის განმავლობაში გაგრძელდება, ვინაიდან ის წყაროები, რომლებზეც ვალუტის შემოდინებაა დამოკიდებული, არასტაბილურია.

ლარის კურსის დაცემის პროცესში ეროვნული ბანკის პოზიციის სისწორესა და გადადგმული ნაბიჯების დროულობასა და ადეკვატურობას აღნიშნავს თავად ბანკის პრეზიდენტი **გიორგი ქადაგიძე,** მოსახლეობის დროულად ინფორმირებულობის აუცილებლობას ასევე, ხაზი გაუსვა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა **ბიძინა ივანიშვილმა** 20 მარტის ინტერვიუში.

ამასთან, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის ერთ-ერთი საყურადღებო წინაპირობა ეროვნული ბანკის პოლიტიკის გარკვეული ასპექტების შეცვლა იყო, ვინაიდან ამ მხრივ ბევრი საეჭვო ასპექტია, რომელიც საზოგადოებაში დიდ უნდობლობას იწვევს, თუმცა კი, „თამაშის წესები“ შეცვლას მაინც არავინ არ აპირებს. ერთ-ერთი მათგანის შესახებ ლაპარაკი ცოტა ხნის წინათაც გვქონდა – მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრების მხოლოდ „რჩეულთათვის“ ხელმისაწვდომობა, კომბანკებს გარკვეულ სპეკულაციურ ცდუნებას უჩენს, შედეგად კი ლარი „ქვევით-ქვევით მიჩოჩავს“. მაშინდელ პუბლიკაციაში ამ საკითხებისთვის დიდი ყურადღება არ დაგვითმია, მაგრამ იმის გამო, რომ ამით გამოწვეული თეორიული რისკების სინამდვილით გამაგრების არაერთი მაგალითია, ამ თემას ოდნავ გაშლილად შევეხებით. კერძოდ, ლარის კურსის განსაზღვრის წესი ეროვნული ბანკის საბჭომ 2009 წლის მაისში დაადგინა. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, **ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსი ბანკთაშორის სავალუტო ვაჭრობების დროს დადებული გარემოებებისა და შესაბამისი გაანგარიშებების საფუძველზე დგინდება**. ეს სწორედ ის მექანიზმია, რომელსაც აშკარად უარყოფითად აფასებს თითქმის ყველა მიუკერძოებელი ექსპერტი სწორედ იმ მიზეზთა გამო, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ამ უნდობლობას კიდევ უფრო მეტად ამყარებს ის გარემოებაც, რომ საქართველოში სადღეისოდ მოქმედ 21 კომერციულ ბანკს შორის „ამინდს ჰქმნის“ ხუთი დიდი ბანკი, დანარჩენები კი მათთან შედარებით გაცილებით სუსტები არიან, ზოგნი კი, სულაც, ზარალიანი, თუმცა კი, ეროვნული ბანკი მათ მაინც „აცოცხლებს“, როგორც ჩანს, უფრო ანტურაჟისთვის. განაწყენებული ვინმე რომ არ დაგვრჩეს უსაფუძვლო მტკიცებით, თითქოს ეროვნული ვალუტის გაუფასურებით მოგებულები მხოლოდ კომერციული ბანკები რჩებიან, შეუძლიათ თუნდაც უკრაინელების, მოლდოველების, სხვათა მონაცემებს გადახედონ და თავად დარწმუნდებიან, რომ **ეროვნული ვალუტების გაუფასურების დროს, ერთსა და იმავე პოლიტიკურ ვითარებასა და მაკროეკნომიკურ გარემოში შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, კომბანკების მოგება გაათმაგდა(?!)**.

ბუნებრივია, რომ დოლარის საყოველთაო გამყარების პირობებში, ყველა სახელმწიფოს თუ გაერთიანების ხელისუფლება გამოსავალს თავისით, ცხადია, სხვათა დადებითი გამოცდილების გათვალისწინებით ეძებს. ამ მხრივ გამონაკლისი, ბუნებრივია, არც საქართველოს მთავრობა უნდა იყოს, საამისოდ კი, როგორც ამას ექსპერტი **დემურ გიორხელიძე** აღნიშნავს, **აუცილებელია არა დროსა და სივრცეში გაფანტული, უმეტესად პიარზე გათვლილი ნაბიჯების ანონსირება, არამედ მკაფიოდ ჩამოყალიბებული კონკრეტული ქმედითი პროგრამის უსწრაფესად წარდგენა, თუმცა კი, ასეთს ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერჯერობით მაინც, პირი არ უჩანს**.

ის მაინც ხომ უნდა ვიცოდეთ, რომელი ფეხი რომლის შემდეგ გადავდგათ?!.

ოთარ ტურაბელიძე

◎ გარემოვაჭრეები

ხელისუფლების თავსატეხი

გარევაჭრობა ყოველთვის იყო ყველა ხელისუფლების თავსატეხი. ტროტუარებსა თუ მეტროს შესასვლელში სახელდახელოდ მოწყობილი სავაჭრო დახლები გამვლელს სერიოზულ პრობლემას უქმნის. პრაქტიკულად, თბილისი გარევაჭრობამ წალეკა. ამას ემატება დანაგვიანებული ქუჩები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ერთ დიდ ნაგვის ქალაქში ვცხოვრობთ. თუმცა, მედალს ორი მხარე აქვს. ქვეყანაში, სადაც ეკონომიკური ზრდა 5%-დან 2%-მდე შემცირდა, ლარის კურსი გაუფასურებისკენ მიექანება, ბანკებმა კრედიტორებს სესხები გაუძვირეს, შეიძლება ითქვას, რომ გარემოვაჭრეებისთვის ქუჩაში ვაჭრობის აკრძალვით პრაქტიკულად, არსებობის უკანასკნელ საშუალებას ართმევენ.

ცხადია, არავინ დავობს იმაზე, რომ გარევაჭრობა მართლაც უნდა აიკრძალოს, მაგრამ ხელისუფლებამ სანაცვლოდ გარემოვაჭრეებს სხვა ალტერნატივა უნდა შესთავაზოს. სამწუხაროდ, უკვე წლებია ასეთ ალტერნატივას მათ არავინ სთავაზობს. ადამიანებს კი არსებობა უნდათ – მათ უკან მინიმუმ 3-4 ადამიანი დგას. რა ხდება გარევაჭრობაზე, როგორ ავიწროებენ გარემოვაჭრეებს და რას ფიქრობენ ისინი ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ ფონზე, ამის გასაგებად bpn.ge გარემოვაჭრეებს ესაუბრა. ჟურნალისტური „რეიდის“ დროს თვალშისაცემი იყო მომხმარებელთა სიმცირე. გარემოვაჭრეების თქმით, შიგნით ბაზარში კლიენტი ნაკლებად შედის, ამიტომ გარეთ ვაჭრობას ამჯობინებენ. იქვე დასძენენ, რომ ბაზარში ადგილის გადასახადი საკმაოდ ძვირია, შეიძლება მთელი დღის მანძილზე ვერ ივაჭრონ და გადახდილი თანხაც დაკარგონ.

45 წლის ნანა ასურეთიდან (თეთრიწყაროს რაიონი), ყოველ მეორე დღეს ე.წ. ნავთლუღის ბაზრობაზე რძის ნაწარმს ჰყიდის. კლიენტის მომსახურების პარალელურად, გაწაფული თვალით ათვალიერებს გარემოს, ეშინია პოლიცია თავს არ დაადგეს და არ დაჯარიმოს, ვინაიდან ერთხელ უკვე მოუწია ჯარიმის გადახდა. **„ზაფხულში 20 ლარით დამაჯარიმეს. პოლიცია მოულოდნელად დამადგა თავს. სამი კილო ყველი და რძე მქონდა, ისიც წამართვეს. რა თქმა უნდა, ჯარიმა გადავიხადე. მას შემდეგ, გაფაციცებით ვიცქირები აქეთ-იქით. როცა კლიენტს ემსახურები, ამ დროს შეიძლება მანქანიდან გითვალთვალებდნენ ან ზურგიდან მოგეპარონ და დაგაჯარიმონ. ქალები ერთმანეთს ვეხმარებით, როცა ერთი ჰყიდის, დანარჩენები ქუჩას აკვირდებიან, პოლიციელი ხომ არ მოდის. საშინელ დღეში გვაგდებენ, მათ გამოჩენაზე უკანმოუხედავად გავრბივართ. გვეგონა უკეთესობისკენ შეიცვლებოდა ჩვენი არსებობა, მაგრამ პირიქით. დავრწმუნდი, რომ არც ერთი მთავრობა ხალხისთვის არ არის. სულ უარესობისკენ მიდის საქმე. ხალხი ბაზარში არ დადის, ფული აღარ აქვთ. ბანკის სესხებმა ლამის სული ამოხადოს. გაუბედურებული, დაქცეული ქვეყანა ვართ. იმედიც არ მაქვს, რომ რამე გამოსწორდება“,** – გვეუბნება ქალბატონი ნანა.

მყიდველის ნაკლებობას უჩივის **მარტყოფელი პენსიონერი ვალია,** რომლის თქმითაც, ბაზარში შიგნით დგომას, ისევ გარეთ ურჩევნია ვაჭრობა, რადგან ხშირად საქონელი ვერ ეყიდება და ადგილში ფულს ტყუილად იხდის. **„პენსია აღარაფერში მყოფნის. ფულს ძალა არ აქვს, წამლები ისეთი ძვირი ღირს, მარტო ამაში მეხარჯება ჩემი პენსია. დაგვცინეს, 10 ლარი მოგიმატეთო, იმაზე მეტი უკვე დაგვაკლდა. დილიდან აქ ვდგევარ, მაგრამ კლიენტი არ არის. არავინ ყიდულობს, ხალხს ფული არ აქვს. პოლიციამ ძალიან გაგვაწვალა. შიგნით ბაზარში გაყიდვა არ მიღირს. გუშინ ადგილზე 5 ლარი გადავიხადე, მაგრამ ვერაფერი გავყიდე და ის ფულიც დავკარგე“.**

სამგორის ტერიტორიაზე გავლა რთულია – ტროტუარებზე ვაშლს, კარტოფილს და მწვანილს პარკებითა და სათლებით ჰყიდიან. გარემოვაჭრეების თქმით, ეს აპრობირებული ხერხია. პოლიციის გამოჩენისთანავე პარკს ხელს წაავლებენ და გარბიან. მათი თქმით, ხშირია შემთხვევა, როცა პოლიციას რომელიმე მათგანი დაუჭერია, გასაყიდი პროდუქტი ძირს დაუყრია ან წაურთმევია. **„გამწარებული გვაქვს ცხოვრება. შიშით ვყიდით, ვინ საიდან, როდის გამოჩნდება და თავს დაგვაცხრება, არ ვიცით. რამდენიმე ხნის წინ ჩვენს გვერდით მოვაჭრე ბიჭი დაჯარიმეს, მაგრამ ჯარიმა - 20 ლარი არ გადაიხადა. ალბათ, იფიქრა, მაპატიებენო. ჯარიმის თანხა კი გაიზარდა და ბოლოს სოფელში სახლი დაუყადაღეს. 600 ლარის გულისთვის ადამიანს სახლს ართმევ? ასეთი ბევრი შემთხვევაა. განა ჩვენ მოგვწონს სიცხესა და სიცივეში ქუჩაში დგომა? გაყინულები ვდგავართ, რომ ორი კაპიკი ვიშოვოთ, ჩვენს შვილებს შინ პური მივუტანოთ. შექმნას მთავრობამ სამუშაო ადგილები, დაგვასაქმონ და გიჟები კი არ ვართ, რომ ქუჩაში დავდგეთ“,** – გვითხრა **მარტვილელმა გარემოვაჭრე ნათია.**

ასეთი იყო ერთი დღე გარემოვაჭრეებთან, რომლებიც სიცივისგან გაცრეცილი სახეებით და დაკოჟრილი ხელებით, კლიენტის მოლოდინში მთელი დღე გარეთ დგანან. საუბარში ყველამ აღნიშნა, ხელისუფლებას გარემოვაჭრეები მხოლოდ წინასაარჩევნოდ ვახსენდებით, მთავრობაში მოსვლისთანავე კი ხელკეტებით დაგვდევენო.

სალომე გოგოხია

◎ ალიან-ჩალიანი

გერმანიამ საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა

დოკუმენტის რატიფიცირებას გერმანელ კანონმდებელთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. „ასოციირების შეთანხმების რატიფიცირება ამ ქვეყნებისთვის ახალ ეტაპზე გადასვლაა, თუმცა საჭიროა კიდევ მეტი რეფორმები და ცვლილებების განხორციელება“, — განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა.

ასოციირების შეთანხმება საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ ევროკავშირთან გასული წლის ივნისში გააფორმეს. ხელშეკრულების ძალაში შესვლისთვის, საჭიროა მისი რატიფიცირება ევროკავშირის წევრმა ყველა ქვეყანამ მოახდინოს.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საწარმოები, ბუნებრივია, არ გახლავთ ქარხნები, საიდანაც ორთქლი ამოდის

ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა. მისივე განმარტებით, ტერმინი „დაფინანსება“ არასწორად არის გაგებული.

„ჩვენ, ბუნებრივია, არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ მინიმალური ზღვარი დავაწესოთ რამდენი ადამიანი უნდა დაასაქმოს ახალმა საწარმომ - თითოეული ადამიანის დასაქმება არის უმნიშვნელოვანესი. ძალიან მნიშვნელოვანია გესმოდეს, რას ნიშნავს ტერმინი „დაფინანსება“. ეს ნიშნავს, რომ 105 მოთხოვნა საწარმოს, ან ახალი ბიზნესის წამოწყებაზე დაკმაყოფილდა და დახმარების პროცედურები ან დაწყებულია, ან უკვე განხორციელებული. შესაბამისად, ან უკვე აშენებულია საწარმო, ან მუშა მდგომარეობაშია, ან მიმდინარეობს მშენებლობა ან დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები. მიმდინარეობს მონიტორინგი და ვნახავთ, რამდენმა დააკმაყოფილა პირობები. ბუნებრივია, ეს არ გახლავთ ქარხანა, საიდანაც ამოდის ორთქლი. ეს გახლავთ ნებისმიერი ბიზნესი, რომელმაც შეიძლება დარგს მისცეს სტიმული, ბიძგი და წაახალისოს. ამიტომ, ეს იქნება ფერმა, სადგური, გადამმუშავებელი საწარმო თუ ნებისმიერი სხვა, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და წარმოადგენს ახალ საწარმოს“, — აღნიშნა ოთარ დანელიამ.

„კაბელების საქმეზე“ ალასანია არ დაიკითხება

ე.წ. კაბელების საქმეზე დაკავებული 5 ყოფილი მაღალჩინოსნის მიმართ წინასწარი გამოძიება დასრულებულია და შესაბამისად, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია აღარ დაიკითხება.

ე.წ. კაბელების საქმეზე სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ გამოძიება გრძელდება და თუკი საჭიროება იქნება, ყოფილი მინისტრის დაკითხვა მოხდება. ირაკლი ალასანია დაკავებული 5 პირის საქმეში არც დაცვის მხარის მოწმეთა ნუსხაშია. როგორც დაკავებულების ერთ-ერთმა ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა განაცხადა, დაცვის მხარეს ირაკლი ალასანია არ დაუკითხავს. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ე.წ. კაბელების საქმეზე ხუთი პირის დაკავების შემდეგ რამდენჯერმე გააკეთა საჯარო განცხადება და დაკითხვა მოითხოვა. ალასანიას მიაჩნია, რომ აღნიშნული საქმე მის მიმართ პოლიტიკურ დევნას უკავშირდება.

◎ ყველას თავისი აზრი აქვს

გერმანელებს ღმერთის გარდა არავისი ეშინიათ!

ბისმარკი

კითხვა: **რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

პასუხი: **ამ ანკეტას!**

სანდრო მრევლიშვილი,
ჟურნალის ანკეტიდან.

ლაპარაკია ერთ-ერთი სოლიდური ჟურნალის **ანკეტაზე.**

დასაწყისიდანვე ერთი წამცდენ-წამტყუებელი კითხვა – **„სად ისურვებდით ცხოვრებას?“** – ისე ამაყად ჟღერს, რომ თავისი ღვიძლი შვილებისაგან სანახევროდ ისედაც დაცლილი და ყოფნა-არყოფნის უფსკრულთან მიყენებული, მტერმორეული საქართველო თითქოს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე აყვავებულ, თანაც უმჭიდროესად დასახლებულ სუპერსახელმწიფოს წარმოადგენდეს და თავიანთი ქვეყნის ძლიერებით გამედიდურებული მისი მრავალმილიონიანი მოსახლეობის უმთავრესი თავგასართობი ესღა იყოს: მბრძანებლურად გაშვერილი თითით ვეებერთელა გლობუსს გუნებაშერჩევით წაღმა-უკუღმა ატრიალებდნენ, რათა ამორჩეული რომელიმე კონტინენტი, ქვეყანა თუ ეგზოტიკური კუთხე იქ თავიანთი რამდენიმეწლიანი ცხოვრებით გააგედნიერონ!!!

ანდა, უფრო უარესი: საქართველოს ღვიძლ შვილებს ღვთისაგან ბოძებულ თავიანთ მიწა-წყალზე გული უკვე იმზომ ჰქონდეთ აყრილი, რომ პოლიტიკურ-ეკონომიკური ჟამტიალობით გაუბედურებული სამშობლოს მიტოვება და სამუდამოდ თუ რამდენიმე წლით მაინც მის ფარგლებს გარეთ გულგადასაყოლებელი ყიალი სასურველი ანდა უკვე სავალდებულოც იყოს!

ჰმ! ჯერ ისედაც მწარედ მივტირით დედამიწის ზურგზე ბოლო წლებში ფეტვივით მიმობნეულ, გზაკვალარეულ ასიათასობით თანამოძმეს და ვეღარ გაგვიგია, უკან როგორ დავიბრუნოთ, „ჩვენი მწერლობა“ კი თავის რესპონდენტებს ნომრიდან ნომერში ისეთი მაცდური თუ ბეცური დაჟინებით უჩიჩინებს – **„სად ისურვებდით ცხოვრებას? სად ისურვებდით ცხოვრებას? სად...“**, თითქოს უცხოტომელთათვის საქართველოს სასწრაფოდ დაცლის ბრძანება გვქონდეს მიღებული!

არადა, ეს ხომ დაახლოებით იგივეა, თავმოყვარე კაცს ილაჯი გავუწყვიტოთ: **„ვინ გინდოდა, რომ ყოფილიყო თქვენი ღვიძლი დედა?“** რას ჰქვია – ვინ? განა ეს საკითხავია?! ვინ და ვინცა ჰყავს – ცხრა თვე მუცლით რომ ატარა, შობა, ძუძუ აწოვა და გამოზარდა!!! აქ სხვა ვინ შეიძლება იყოს ან ყოფილიყო?!

აბა, აქ კითხულზე რა შთაბეჭდილება დაგვრჩებოდა, თავისი ღვიძლი დედის ალაგას სახელგანთქმული კინოვარსკვლავი, რომელიმე ქვეყნის ეროვნული გმირი, პოპულარული ტოპმოდელი, მის მსოფლიო, ოლიმპიელი ოქროსმედალოსანი ანდა სახელმწიფო თუ პოლიტიკური მოღვაწე მანდილოსანი დაესახელებინა?!

ღვთის მადლით, რესპონდენტთა გარკვეულ ნაწილს ამ ძნელბედობისას ვერც წარმოუდგენია სანახევროდ დაცლილ-გაპარტახებული სამშობლოს მოღალატური მიტოვება. თუმც აქ თავს ერთი ქართული ანდაზა გვახსენებს – ბუზი აფრენაზე იყო და ხელის აქნევასღა უცდიდაო! ამგვარი კითხვით აცუნდრუკებული ბევრი მომმე მოზარდის გულაფანცქალებით გვისახელებს იმ თავის საოცნებო ქვეყნებს, სადაც განცხრომა-სიამოვნებით იცხოვრებდა!

„... **იტალიაში და, რა თქმა უნდა, რომში!.. ცოტა ხნით შემიძლია ვიცხოვრო ლონდონში, პარიზში, რომში... თბილ კუნძულებზე... ნეპალში... გზაჯვარედინზე, სადაც ოთხივ კუთხივ გზა ხსნილია და სადაც ბლუზის მომღერალ ბიჭებს უყვართ თავშეყრა ტუჩის** (უნდა იყოს პირის. ჯ. მ.) **გარმონებში ჩასაბერად და გიტარების ასალაპარაკებლად** (აფსუს, ჰამლეტ გონაშვილის ნამღერო! ჯ. მ.)... **იტალიაში, ჩინეთში, ტიბეტში, ინდოეთში, იაპონიაში. დროდადრო უკაცრიელ კუნძულზეც ვიცხოვრებდი** (კი მაგრამ, ეს ვაუბატონი როდისღა უნდა ემსახუროს თავის სამშობლოს?! ჯ. მ.)... **მეცხრე საუკუნის ჩინეთში... აღორძინების ხანის იტალიაში...“ და ა. შ!**

ქედს ვიხრი ამ კატეგორიის თანამოძმეთა ოცნებების წინაშე, მაგრამ დაჯიჯგნილ-გაძვალტყავებულ საქართველოს ჩვილი ბავშვივით ერთი წუთითაც რომ არ მოშორდება პატრონის თვალი და მის სვეკრულ შვილებს უცხო-უცხო ქვეყნებში თავშესაქცევი წოწიალის წუთისოფელი არ გვაქვავია?! მაშ, რა საჭიროა ჟურნალის ყოველ ნომერში ამგვარი აკვიატებული კითხვით საზოგადოების ცნობიერებაში მავნე მიკრობის ჩათესვა და მავანთა ისედაც მერყევი შეხედულებების წამქეზებლური ღიტინი?!

* * *

ანკეტის ერთ-ერთ კითხვას – „საომარი **მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები აღტაცებისა?“** ჟურნალი ისეთი თავდაჯერებით იძლევა, თითქოს ალექსანდრე მაკედონელს, ჰანიბალს, დავით აღმაშენებელს, ჩინგიზხანს, გიორგი საakაძეს, ფრიდრიხ დიდს, ერეკლე მეორეს, სუვოროვს, ნაპოლეონს, ბაგრატიონს ანდა, ვერმახტის სახელგანთქმულ ფელდმარშლებს – ერიჰ მანშტეინს, ერვინ რომელს, ფერდინანდ შერნერს, ვალტერ მოდელს თუ ზიგმუნდ ლისტს მიმართავდეს და არა თბილისელ მანდილოსნებს, თავიანთ სიცოცხლეში უნაკლოდ გამოწყობილ ჯარისკაცთა ოცეულისთვის რომ არ მოუკრავთ თვალი!

ეტყობა, რედაქციას თავის თავისთვის ფანატიკურად ჩაუგონებია: „პატრიოტ“ რესპონდენტებს თუ როგორმე **დიდგორისა** და **ასპინძის** ბრძოლებს დაასახელებინებს, ეგ არი – საქართველოსაც ეშველება! ბალღური გულუბრყვილობა!!! თანაც ვერც ამას ხვდებიან: ამგვარი რესპონდენტებისათვის შეუფერებელი ეს კითხვა ზოგჯერ მკითხველების შეურაცხმყოფელ უწმაწურობამდე რომ დაჰყავთ!

ერთ-ერთი, ეტყობა, მრავალნაცადი **„სამხედრო“** ექსპერტი და თეორეტიკოს-პრაქტიკოსი, ახალგაზრდა მწერალი ქალი ამ კითხვას პირდაპირ „ბლიცკრიგულად“ პასუხობს.

„ქალისა და მამაკაცის ორთაბრძოლა საწოლში!“

მერე, ვინ უშლის – იწვეს და იმდენი იბრძოლოს, რამდენიც სურს ანდა შეუძლია! თუმც აქ ცოტა გაუგებარია, **„ქალისა და მამაკაცის ორთაბრძოლა“ „მეტ-ნაკლები აღტაცების ღირსი“** რატომ უნდა იყოს მხოლოდ **„საწოლში“** და არა ყველგან?!.

საერთოდ კი ანკეტის შესავსებად ცოცხალ რიგში დაუმსახურებლად, განურჩევლად თუ მეტისმეტად ნაადრევად მიწვეული ზოგიერთი რესპონდენტის რეგვნული პასუხები – თვითონ მოპასუხესაც და რედაქციასაც, ალბათ, ორიგინალურ-გონებამახვილური რომ ჰგონია! – მკითხველებს პირდაპირ შოკში აგდებს.

აი, ერთ-ერთი მათგანის რამდენიმე პასუხი.

კითხვა: „სად ისურვებდით ცხოვრებას?“

პასუხი: **„სადმე თბილ კუნძულზე, გამხდარი გოგოებითა და არყის ბოთლებით გავსებულ სახლში, უმეზობლოდ, უინტერნეტოდ და შიშველი“.**

კითხვა: „რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?“

პასუხი: **„სავსე არყის ბოთლი რომ გამიტყდეს (უნდა იყოს „გამტეხოდა“. ჯ. მ.)“.**

კითხვა: „ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?“

პასუხი: **„წყალს არყად ვაქცევდე!“**

განაცრებულ მკითხველს დავთრები ერევა: რაღა საჭიროა წყლის არყად ქცევის ნიჭის ნატვრა, როცა მთელი საქართველო ადგილობრივი თუ უცხოური ალკოჰოლური სასმელების და, მათ შორის, ნაირ-ნაირი ასორტიმენტის არყის დახაშმულ ზღვაში ყურყუმელაობს?!

კითხულობთ „ექსპრეს-ინტერვიუებში“ უხვად მიმობნეულ ამგვარ სისულელეებს და ნათელი ხდება: ხშირად გელაპარაკებიან არა სუფთა ჰაერზე მყოფი, საღად მოაზროვნე ავტორები, არამედ ჰაერდახუთული კირკიტი ნაჭუჭის გაბრუებული ბინადარნი, აზრზე რომ არ არიან – დღეს საქართველოს თავზე რანაირი ცოდვის ლული ტრიალებს და თითოეულ ჩვენგანს რა მოეთხოვება!

* * *

კითხვა, ყოველ ინტერვიუში სახრჩობელას გასანთლული ყულფივით რომ ქანაობს, ნამდვილ ღვთის გმობად მიმაჩნია!

„როგორ გინდათ გარდაიცვალოთ?“

ნათქვამია, ჩამოხრჩობილის ოჯახში თოკს არ ახსენებენო! ცხრა აპრილიდან მოკიდებული, რაც ჩვენ ჯოჯოხეთი გამოვიარეთ, განა შეიძლება ამ უაზრო და როყიო კითხვით რესპონდენტებისა და საზოგადოების სადისტური შეძრწუნება?! აქ ისე გამოდის, საქართველოს თავისი მისია თითქოს უკვე დაესრულებინოს და უძლები აპათიით შეპყრობილ ბედგადაწყვეტილ ერთ მუჭა მოსახლეობას ესღა გვქონდეს საანდერძებელი: როგორ გვსურს მივიცვალოთ და სად დავსაფლავდეთ!

ან ეს რა საკითხავია – ისტორიის გასარი ხმლების ქვეშ სასწაულებრივად გამოვლილი გმირთაგმირი ერის მრავალსაუკუნოვან თავგანწირვასაც რომ თავი დავანებ-

ჯიჯოლი ნაჭუჭის



ბოთ, რედაქცია ნუთუ ბოლო ოციოდე წლის მოვლენების მიხედვით მაინც როგორ ვერ უნდა ხვდებოდეს, მტერშემოხვეული საქართველოს ჭეშმარიტ შვილებს რა გვმართებს – სამშობლოს გადარჩენისთვის ბრძოლის ველზე ვალმოხდილის სიკვდილით დაცემა! ღირსეულმა ქართველმა ამაზე უფრო სასახელო სხვა რანაირი სიკვდილი შეიძლება ინატროს?!

ამგვარი მავნებლური შეკითხვით აღშფოთებული სამასი არაგველი თუ ცხრა ძმა ხერხეულიძე შეურაცხმყოფელს, ალბათ, ადგილზევე აკუწავდნენ!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თქვენ მარტო ამგვარ უადამიანობას ჩაუკვირდით: რანაირად შეიძლება ანგელოზებრივი ქალიშვილი პირდაპირ ახალგაჭრილ სამარესთან მიაყენო და შუბურად მაშინვე ეს ატაკო – **აბა, როგორ გინდა გარდაიცვალოო?!** არადა, მისთვის რა დროს სიკვდილზე ფიქრია, როცა ჯერ წინა აქვს სიყვარული, დაოჯახება, შვილიერება, დედობა, მრავალშვილიანობა, შვილიშვილებით ავსება... უფლისგან დადგენილი ქართული ყოფით დამშვენებული მთელი ცხოვრების აზრიანი გალევა!!!

ამ უაზრო კითხვით ჯალათურად შეიარაღებული რედაქცია კი რაღაც პათოლოგიური აკვიატებით ცდილობს, ისედაც ჯვარცმული საზოგადოების განცდები და გულისყური რეტიანი თოხლივით სულ ამ გარდაუვალი სიკვდილის ირგვლივ აბორიალოს! ოღონდ ავიწყდება, რომ ეს **ლადო ასათიანის** საქართველოა!

ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ, მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს!.. ერთი იმედით: სიცოცხლე მარად გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს!

◎ ყველას თავისი აზრი აქვს

პინდარანი

არა, კითხვა ხომ არის და არის, მაგრამ პასუხებს აღარ იკითხავთ?! აქ თვალი უკვე საბოლოოდ გეხილებათ: საქმე გაქვთ სალონური შეხედულებებით გატაცებული რედაქციის მიერ თავგამოსაჩენად შექმნილი კირკიტნაჭუჭიანი უზარმაზარი ფუტლიარის ერთფეროვან ბინადრებთან! რესპონდენტთა უმრავლესობას აქ ყასიდადაც კი აღარ ახსენდება გაუბედურებული სამშობლო და საკუთარ სიცოცხლესთან განშორების უკანასკნელ წამ-წუთებს ისეთი დედაბრული შიშითა და სამარცხვინო სიფრთხილით დაჰკანკალებენ, შეიძლება გული გაგიჩერდეთ, ან წლები და საუკუნეები უცებ ერთმანეთში აგერიოთ!

კარგად მესმის, რომ ლოგიკური მსჯელობის მიზეზით კოლეგებთან ადამიანური ღირსება-ურთიერთობების უფაქიზეს სიმებზე მიხვდება კალამი და ნება-უნებლიეთ ბევრს ვუპირისპირდები! ოღონდ არავის ეგონოს, მათ თავს ვამეტებდე ან გმირის მანტიის მიტაცებას ვლამობდე. არამც და არამც! პირიქით, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მე თვითონ იქნებ ისეთი რამ დავიმართო, წიწოლაზე უარესი სათრევი გავხდე! მაგრამ სათხრობის ბუნებრივ პათოსს ვეღარც გადავაკეთებ, ვერც შევარბილებ. ამიტომ აღარც ვინმესი უნდა მეშინოდეს ან მეხათრებოდეს.

ჰოდა, რესპონდენტთა უმრავლესობა კითხვას – **„როგორ გინდოდათ გარდაცვლილიყავით?“** – აი, რანაირად პასუხობს. მოუსმინეთ და გაუძელით!

– „... ჯანმრთელი... ბედნიერი... არავინ შევაწუხო!.. სიცოცხლემობეზრებული... უცებ ტკივილის გარეშე... არ მინდა, ჭირისუფლებს ყოფა დავუმძიმო... ღრმად მოხუცებული, ასე, 1467 (ათას ოთხასსამოცდაშვიდი. – **ჯ. მ.**) წლისა, ვიკმარებდი!.. არცთუ ღრმად მოხუცი... ჯანმრთელი... უძლურების (უნდა იყოს დაუძლურების. – **ჯ. მ.**) გარეშე... ბედნიერი და მძინარე... ძილში მინდა რომ გარდავიცვალო... მძინარე... ღრმად მოხუცებული, ჯანმრთელი და გარშემომყოფთათვის (ე.ი. ახლობელთათვისო. – **ჯ. მ.**) გულდასაწყვეტი... ბედნიერი... მინდა ხალისიანად გარდავიცვალო... მოხერხებულ საწოლში (ო, ღმერთო! – **ჯ. მ.**)... მინდა მშვიდად გარდავიცვალო... უკეთესი იქნება ძილში... ჯანმრთელი, მდიდარი და 105 წლისა!... ჯანმრთელი მოხუცი უეცრად... მოუმზრებელი ჩემი საყვარელი ადამიანებისთვის... მშვიდად... უხმაუროდ, ახლობელთა გარემოცვაში... სიცოცხლის წყურვილით ავსილი... მოულოდნელად და უმტკივნეულოდ... მშვიდი, მძინარე... მშვიდი, შიშის გარეშე... ისევ ძილში ჯობია... მშვიდი და იმედიანი... მძინარე, ლოგინში... ძილში...“ და ა.შ.!

აქ გულწრფელად განდობილი ადამიანური განცდები და სურვილები სრულებით ბუნებრივი და გასაგებია, მაგრამ მშვიდი, უმტკივნეულო აღსასრული ყველას ფაფუკ ლოგინსა და ტკბილ ძილში რომ მოგვგუნებებია, დოგა-დოგა წამომდგარ სამშობლოს მტრებს თავს ვიღა შეაკლავს?!

საბედნიეროდ, სამშობლოსთვის თავგადადების წმიდათაწმიდა გრძნობას ზოგიერთი რესპონდენტის გულში თურმე მაინც უფეთქავს! აი, რას ამბობს ახალგაზრდა მწერალი, სამი მცირეწლოვანი ბოკვერის მამა, **ზვიად კვარაცხელია: „შევნატრი მამა ანდრია ყურაშვილის აღსრულებას. იგი უფლისა და სამშობლოსთვის თავგანწირვის მაგალითია““.**

მსახიობ **კახა მიქიაშვილის** პასუხიც სულს აფოლადებს: **„თუ საჭირო იქნება, დავიღუპები ქვეყნისა და სამშობლოსთვის!“**

დასანანია, რომ ეს უფაქიზესი კითხვა ზოგიერთებმა უხამსი ლაზღანდარობისა თუ გრაფომანული პოზიორობის საგნად გაიხადეს. 90 წელს მიახლოებულ ერთ-ერთ ლიტერატორმცოდნეს აი, თურმე რანაირი აღსასრული ეოცნებება.

„სექსის დროს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკის დიდი დოზის ქვეშ“.

კარგი, თუგინდ სექსსა და რამდენიმე ყლუპ საღ სასმელსაც თავი რომ დავანებოთ, ეს ნარკოტიკი (თანაც ალკოჰოლთან ერთად!!!) რაღა ჯანდაბაა, მით უმეტეს, **„დიდი დოზით?!“**

ასაკოვანი მგზნებარე დონჟუანი თუ ვერაფერს ხვდება, ნუთუ რედაქციას მაინც არ უნდა ესმოდეს, აქ ნარკომანიის მაცდურეფექტური პროპაგანდა რომ გამოსდის?!

ამავე კითხვაზე გაცემული ერთ-ერთი პროზაიკოსის პასუხი აღმოჩნდა უკანასკნელი წვეთი. ყური დაუგდეთ!

„მინდა საგარმატჰას (იგივე ჯომოლუნგმა – ღმერთების დედა) რომელიმე კალთაზე გავიყინო“.

აბა, მოდი და ამის მთქმელს კეტნადრუბი ძაღლივით ნუ აუყეფდები! ჩვენს ავტორს ნეტავი რა ესაგარმატჰავება, როცა სამშობლო თვალსა და ხელს შუა გვეღუპება და ცოცხლები თუ მკვდრები მხოლოდ მას, მხოლოდ მის მიწა-წყალს უნდა ვეკუთვნოდეთ! ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის ძვლებს ინახავს და ჩვენისთანა უმნიშვნელო კაცებისგან რა უნდა ეწუნებოდეს?! ხოლო თუ მართლა მაინცდამაინც მყინვარში გასუდვრა ეპრიანება, აგერ, აქ არ არის მშობლიური მყინვარწვერი... უშბა... შხარა... შხელდა... თეთნულდი... – რაღა ცხრა მთას იქით მდებარე ჯომოლუნგმას კანონიერ პატრონებს ეცილება და ეტოქება?! სად არის ლოგიკა, სამართალი, მამულიშვილური აზროვნება, ჩვენი ნორჩი თაობის ეროვნული შეგნების ჩამოყალიბებისადმი მწერლის წინდახედული მიდგომა?!

ავტორი ვერ ხვდება, რომ გამოუცდელ მკითხველებზე ვითომ „დიდი“ მწერლის შთაბეჭდილების მოსახდენად ამგვარი ქარაფშუტული პოზიორობით გამომწვევად აბიაბრუებს ადამიანის სამუდამო განსასვენებელთან დაკავშირებულ ეროვნულ გრძნობებსა და ცნობიერებას.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ბედთან მორკინალ თავის მხედარ-ორეულს ამქვეყნად ყველაზე საშინელი ხვედრისთვის იმეტებს.

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის.

ილია „გლახის ნაამბობის“ შესავალში ასე შენატრის მოსანადირებელ ირემს. **„ისიც კარგია, რომ იქა ჰკვდები, სადაც დაიბადე. ჩვენ, კაცები, ხანდახან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ“.**

აკაკის **„განთიადის“** პატრონს სადღაც ცხრა მთას იქით გასაყინავად გულმა როგორ უნდა გაგწიოს?!. უცხოეთში დაცემული რამდენი ბედკრული ქართველი დავუბრუნეთ მშობლიურ მიწას: **დიმიტრი ყიფიანი... ნიკოლოზ ბარათაშვილი... მიხეილ თამარაშვილი... ზვიად გამსახურდია... ქაქუცა ჩოლოყაშვილი...** უკვე შაბლონად ნაქცევი „ექსპრეს-ინტერვიუეთი“ აცუნდრუკებულ ავტორს კი ჰიმალაის რომელიმე კალთაზე გაყინვა ეოცნებება!

თუმც ვინ მამაძაღლი ამოიღებდა ხმას, აქ საამისო თუგინდ პაწაწკინტელა მიზეზი ან მოტივი მაინც რომ გუუტავდეს: მწერალს შორეულ ჯომოლუნგმასთან რაიმე საყვარელი კვლევა-ძიება აკავშირებდეს, ან უდრეკი ალპინისტი იყოს და იქ მიუგნებლად ჩაჩეხილ მეგობარ ალპინისტებთან ერთად სურდეს მარადიული სასუფეველი! არაფერი ამის მსგავსი – მხოლოდ იაფფასიანი პოზიორობა! ეს მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ მისი მდარე ტექსტები მკითხველს სატანჯველში აგდებს. ამავე ჟურნალში დაბეჭდილ მოთხრობაში „წყალდიდობა“ ავტორი ერთგან დაარხეინებით წერს. „ეს **წყალდიდობაც** მათ ჭირად **მოხდა**“. გამოდის, რომ ამიერიდან ჩვენც ასე უნდა ვწეროთ და ვიმეტყველოთ. „გუშინ **წვიმა მოხდა**“. „გუდაურში უკვე **თოვლი მომხდარა**“. „შეხე, როგორი **წყალდიდობა ხდება!**“..

ჰიმალაის თოვლიან-ყინულიან კალთებზე მეოცნებე ავტორს ხშირად უშეცდომოდ ორი სიტყვაც ვერ გადაუბამს. ამავე ანკეტის კითხვას — **„თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?“** – აი, როგორ პასუხობს: **„ბედნიერება სულ ჩვენს გვერდითაა. უბრალოდ მას კორპუსები ეფარებიან“**. არადა, უნდა იყოს: „ბედნიერება სულ **ჩვენ გვერდითაა.** უბრალოდ, მას **კორპუსები ეფარება**“.

ერთი სიტყვით, ჯობია ავტორმა ჯერ ცოდნა აიფხაოს, თორემ უხერხული იქნება ღმერთების დედასთან ამგვარი ჩიქორთული ენით საუბარი...

* * *

ეროვნული ინტერესების შებღალვად მიმაჩნია ერთი ასეთი საშინელი კონტრასტიც: ჟურნალში გამოქვეყნებულ ბევრ პიტალო გრაფომანულ ტექსტს მიქელანჯელოს ჩაქუჩითა და სატეხით კი არა, თვით უმაღლესი ხარისხის პოზედიტის ელექტრობურღითაც ვერას დააკლებთ, ფხვნასაც ვერსაიდან უზამთ!!! ამ დროს მისი ავტორი, ესა თუ ის მოთვალმარგალიტებული ქალბატონი კი ჟურნალის ყდიდან ერთი ისეთი ყელმოღერებით გვეპრანჭება, თითქოს წინა კვირას სკანდინავიიდან ნობელის პრემიით დაგვბრუნებოდეს! ეს კიდევ არაფერი! ფონი, ფოტოსურათების ფონს არ იკითხავთ: ეიფელის კოშკი... კემბრიჯი... ამერიკის კანიონები... ბუენოს-აირესი... ქემირი (თურქეთი)... ლოს-ანჯელესი... პრაღა... გენტი (ბელგია)...სარასოტა (ფლორიდის შტატი)... ოლიმპოს მთა და ასე უსასრულოდ!

აბა, როგორ არ ჩაგეთუთქება გული: ნუთუ ჩვენს სამშობლოში მართლა აღარსად მოიპოვება ისეთი რომელიმე მატერიალურ-კულტურული ძეგლი, ისტორიული ნაშთი, მწვერვალი, მდინარე, სოფელი, ერისკაცის სახლ-მუზეუმი, ხეობა, ხემძღვალი თუ პეიზაჟი, რომელსაც ჟურნალის ნებისმიერი წონის ავტორი და მით უმეტეს, უიმედო გრაფომან-ეპიგონი თავისი ფოტოსურათის ფონად იკადრებდა?!

ჰოდა, სრულებით გაუგებარია, ამგვარი სახიფათო ტრიუკებით ზოგიერთი რესპონდენტი რატომ ცდილობს ჩვენს საზოგადოებას და მეტადრე ნორჩ თაობას ცნობიერება ეროვნული ღირებულებებიდან უცხოურ განზომილებებზე გადაატანინოს და საბედისწერო წარმოდგენა ჩამოუყალიბოს: საქართველოში უკვე აღარაფერია ღირებული!.. ამიტომ მხოლოდ უცხოეთში უნდა ვეძებოთ სამუშაო, საცხოვრებელი, თვითრეალიზაცია, წარმატებული კარიერა, სიმდიდრე, გართობა-დასვენება, სულიერი საზრდო, ფონი, ხედი, პეიზაჟი და თვით სამუდამო განსასვენებელიც კი!..

* * *

ანნადით მოხვეტილ რაგინდარა კითხვებიდან ერთ-ერთი მათგანი – **„თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?“** – ხშირ შემთხვევაში ღმერთს შეურაცხყოფს, ვინაიდან დაუშვებელია არაფრით გამორჩეული შემოქმედის, ნაირგვარი კაროჟნა-გრაფომანის, ეპიგონის თუ, საერთოდ, ჩამოუყალიბებელი პიროვნების ალალბედური დანაყბედი ღმერთის ნაფიქრ-ნათქვამად მივიჩნიოთ.

ჭეშმარიტი შემოქმედი ღმერთს რომელიმე რედაქციის პროტექციისა თუ ყბადაღებული ანკეტის გარეშეც ხვდება ხოლმე. ჯერ ილიას მოვუსმინოთ.

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.
ახლა ვაჟას ჯერი დგება.
მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ,
თვალწინ მეფინა ქვეყანა,
გულზედ მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.

ზოგიერთი რესპონდენტი კი ღმერთთან გაძმაკაცებასაც კი ცდილობს! აი, ერთ-ერთ მათგანს რა მოსურვებია, ღმერთს მისთვის რომ ეთქვა: **„ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!“** მეორე უფრო თამამია: **„საღოლ, ძმაო, მაგარი იყო!“**

ვინმე ირწმუნებს, შეიძლება ასეთი ყოფილიყო ღმერთის კილო, საქციელი ან ლექსიკა?!

ბოლოს ჯომოლუნგმაზე მეოცნებე ავტორის მიერ წარმონადგენი ღმერთის „მტკიცე“ პასუხიც მოვისმინოთ.

„ – უჩა, ერთი თვე დაგრჩა, დროა ნეპალისკენ ბილეთი შეიძინო, საგარმატჰა გელის!“

აქ სრულებით გაუგებარია, ერთ-ერთ უფერულ ქართველ კალმოსანს რა დამსახურებისათვის უნდა ელოდებოდეს ღმერთების დედა?

მე პატარა კაცი ვარ და, ცხადია, არ ვიცი, უჩას ღმერთი მართლა რას ეტყოდა, ოღონდ იმას კი ვგრძნობ, ბრძნული პირიდან მსგავსს არაფერს ამოუშვებდა.

ჰოდა, ღმერთისა რა მოგახსენოთ, ერთი ჭკუადამჯდარი ქართველი კი აი, რას ეტყოდა: კუდა ხარივით აქა-იქა ღეტიალს თავი დაანებე და მოდი, შენც მოგვეშველე, სამშობლო ერთად გადავარჩინოთო!

ჯემალ მეხრიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

განიხილეს მუსულმანი მესხების რეპატრიაციის საკითხი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი, სოზარ სუბარი და მინისტრის პირველი მოადგილე, გრიგოლ გიორგაძე თურქეთის რესპუბლიკის საზღვარგარეთ მცხოვრები თურქებისა და მონათესავე თემების საქმეთა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, კუდრეთ ბულბულსა და თურქეთის დელეგაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

დევნილთა სამინისტროს ცნობით, შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთობებზე ისაუბრეს და მუსულმანი მესხების რეპატრიაციის საკითხი განიხილეს.

მინისტრის განცხადებით, 2014 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით, დამტკიცდა „ყოფილი სსრკ-ის მიერ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგია“ და ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე. სტრატეგიის მიზანია დაბრუნების პროცესის გაადვილება და შემდგომი ადაპტაციის ხელშეწყობა.

კუდრეთ ბულბულის განცხადებით, მოხარულია, რომ საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სტრატეგია და თავის მხრივ, თურქული მხარე მზად არის როგორც ფინანსურად, ისე მორალურად ხელი შეუწყოს მუსულმანი მესხების ღირსეულ დაბრუნებას.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო საჯარიმო პოლიტიკას გაამკაცრებს

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროდან იტყობინებიან, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი და მოქნილი სისტემის ჩამოყალიბებისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებაა.

მათივე ინფორმაციით, სურსათის ეროვნული სააგენტო სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მონიტორინგის წლიურ პროგრამას ახორციელებს, რომლის ფარგლებშიც სათანადო წესით ხდება სურსათის ნიმუშების აღება და შემოწმება, მისი საკვებად ვარგისიანობის დადგენის მიზნით. 2015 წლის დასაწყისიდან დღემდე, უკვე განხორციელდა 971 ინსპექტირება. აქედან საწარმოო პროცესი შეუჩერდა 12 ბიზნესოპერატორს, ხოლო დაჯარიმდა 63 ოპერატორი.

არაერთ შემთხვევაში გამოვლენილი კრიტიკულად შეუსაბამო დარღვევები ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიშროებას წარმოადგენდა.

მოქმედი კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მის მიერ წარმოებული სურსათი საფრთხეს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისთვის, იგი ვალდებულია, აღკვეთოს სურსათის სარეალიზაციო ქსელში მოხვედრა ან უზრუნველყოს სარეალიზაციო ქსელიდან ამოღება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიზნესოპერატორი პირველ ჯერზე 1000 ლარით ჯარიმდება. ანალოგიური ქმედების განმეორების შემთხვევაში, ჯარიმა კვლავ 1000 ლარია.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

გამოკითხვა: საქართველოს მცხოვრებთა 85 პროცენტი რუსეთთან ურთიერთობით უკმაყოფილოა

საქართველოს მმართველი კოალიციის რეიტინგი ერთ წელიწადში 18 პროცენტით დაეცა

საქართველოს მცხოვრებთა 85 პროცენტი, რომლებიც გამოკითხა რესპუბლიკურმა საერთაშორისო ინსტიტუტმა (ესაა ამერიკული არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს უჭერს მხარს), უარყოფითად აფასებს საქართველოს ამჟამინდელ დამოკიდებულებას რუსეთთან. გამოკითხულთა მხოლოდ 5 პროცენტმა მისცა მათ დადებითი შეფასება.

რესპონდენტების 18 პროცენტი რუსეთს პარტნიორად მიიჩნევს, 76 პროცენტი კი — „საფრთხედ“.

ამ დროს, გამოკითხულთა 26 პროცენტმა განაცხადა, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველოს დამოკიდებულება რუსეთთან გაუარესდა, 21 პროცენტი მხარს უჭერს აზრს, რომ გაუმჯობესდა (44 პროცენტმა განაცხადა, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს ცვლილებები არ განუცდია).

ამასთან ერთად, თებერვლის გამოკითხვის შედეგების შესაბამისად, საქართველოს მცხოვრებლებს რუსეთისა ეშინიათ: 67 პროცენტმა განაცხადა, რომ „რუსეთის აგრესია საქართველოსთან დაკავშირებით გრძელდება“, 21 პროცენტი მიიჩნევს, რომ „აგრესია დამთავრდა, მაგრამ შეიძლება განახლდეს“. რესპონდენტების მხოლოდ 6 პროცენტი დარწმუნებულია, რომ „აგრესია დამთავრდა და აღარ განახლდება“.

პოლიტიკური რეიტინგი

გამოკვლევის შედეგად ერთ წელიწადში 18 პროცენტით შემცირდა მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ რეიტინგი, 54-დან 36 პროცენტამდე, თუმცა, ეს მაინც მხარდაჭერის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია სხვა პოლიტიკურ პარტიებთან შედარებით.

მეორე პარტია მოწონების რეიტინგში საქართველოს ექსპრეზიდენტის პარტიაა, ოპოზიციური ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 14 პროცენტით. ერთი წლის განმავლობაში ამ მაჩვენებელს ცვლილებები არ განუცდია.

მესამე ადგილზე 10 პროცენტით გავიდა თავდაცვის ექსმინისტრის ირაკლი ალასანიას პარტია „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები“, რომელიც 2014 წლის ნოემბერში, მას შემდეგ, რაც მისი ლიდერი გაათავისუფლეს თანამდებობიდან, გადავიდა ოპოზიციაში მმართველ კოალიციასთან.

ამავე დროს შეკითხვაზე „რომელ პარტიას მისცემდნენ ხმას, თუ არჩევნები უახლოეს დღეებში გაიმართება?“, რესპონდენტების 12 პროცენტმა განაცხადა, რომ თავიანთ ხმას არც ერთ პარტიას არ მისცემენ, 11 პროცენტმა კი უარი განაცხადა შეკითხვაზე პასუხის გაცემაზე.

საქართველოში, გამოკითხვის თანახმად, ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსები არიან — პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი დავით სერგეენკო (მოაგროვეს 62 პროცენტი). მათ მისდევენ (57 პროცენტით) საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 56 პროცენტით მესამე ადგილზე აღმოჩნდა. საკაშვილის პარტიიდან მოწონების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი — 47 პროცენტი — აქვს პარლამენტის ექსსპიკერს დავით ბაქრაძეს.

პოლიტიკოსების რეაქცია

მმართველი კოალიციის წარმომადგენლებმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადეს, რომ „დიდად არ ენდობიან“ სოციოლოგიურ გამოკვლევებს. მიუხედავად ამისა, როგორც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა აღნიშნეს, გამოკითხვის შედეგები „იძლევიან დაფიქრების საფუძველს“.

„ყოველ გამოკვლევას აქვს თავისი კოეფიციენტი. ესე იგი, როგორც იქაა აღნიშნული, ეს არასოდეს მოხდება არჩევნებზე. ნამდვილი გამოკვლევა არჩევნებია, მაგრამ, ბუნებრივია, ნებისმიერი გამოკვლევა უჩვენებს ტენდენციას“, — გვითხრა დეპუტატმა მმართველი კოალიციიდან ლევან ბერძენიშვილმა.

სააკაშვილის პარტიამ განაცხადა, რომ ენდობა გამოკვლევის შედეგებს და რომ იგი „რეალობას ასახავს“, რომელიც, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შეფასებით, არის გაწბილებულთა განუხრელი ზრდა ამჟამინდელი მთავრობის მიმართ.

თავის მხრივ, პარლამენტის ექსსპიკერმა, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ, რომლის პარტიასაც გამოკითხვის შედეგად მხარდაჭერის მხოლოდ 5 პროცენტი აქვს, განაცხადა იმის შესახებ, რომ გამოკვლევის შედეგები „ხელოვნურადაა შექმნილი“. ბურჯანაძე, რომელსაც საქართველოში პოლიტიკურ ძალთა ნაწილი განიხილავს როგორც პრორუსულ პოლიტიკოსს, ამტკიცებს, რომ მის წინააღმდეგ „იბრძვის ვაშინგტონი, როგორც კი მისი რეიტინგი ამაღლდება, „ამერიკელები აქტიურ მოქმედებებზე გადადიან“.

„მნიშვნელოვანი საკითხები“

მთავარი მიზეზები, რომელთა მიხედვითაც გამოკითხულები მთავრობის უკმაყოფილონი არიან, ესენი არიან — წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობა (29 პროცენტი), ეროვნული ვალუტის გაუფასურება (11 პროცენტი), ეკონომიკური კრიზისი (10 პროცენტი), უმუშევრობა (10 პროცენტი), ხელისუფლების არაკომპეტენტურობა (4 პროცენტი).

გამოკითხვის მონაწილეთა 62 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში გაუარესდა, 7 პროცენტი აცხადებს, რომ — გაუმჯობესდა, ამ თვალსაზრისით რესპონდენტების 29 პროცენტის აზრით, საქართველოში არაფერი შეცვლილა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადა, რომ ქვეყნის მცხოვრებთა ასეთ შეფასებას „ბუნებრივად“ მიიჩნევს, ვინაიდან ეროვნული ვალუტის გაუფასურებით (უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში ლარმა ღირებულების 29 პროცენტი დაკარგა), გაიზარდა იმ მსესხებლებზე საფინანსო დატვირთვა, ვინც კრედიტებს დოლარებში ღებულობდა. მისი სიტყვებით, სიტუაციის გამოსწორებისთვის საქართველოს მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ უზრუნველყოს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა.

მთლიანად, ერთ წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 55 პროცენტს მიაღწია იმ რესპონდენტების რიცხვმა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება (ამ მაჩვენებელმა 2014 წლის თებერვალში 33 პროცენტს მიაღწია). გამოკითხვის თანახმად, 2009 წლიდან ეს მხარდაუჭერლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

გამოკითხულთა 25 პროცენტმა (2014 წლის თებერვალში 48 პროცენტმა) განაცხადა, რომ კმაყოფილი არიან საქმის მდგომარეობით საქართველოში. მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საქართველოს გამოკითხულ მცხოვრებლებს აღელვებდათ თებერვალში, კვლავინდებურად უმუშევრობაა (რესპონდენტების 45 პროცენტის აზრი), ეკონომიკური სიტუაცია (17 პროცენტი), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა (14 პროცენტი).

ნატო და ევროკავშირი

გამოკვლევის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობა კვლავინდებურად მხარს უჭერს ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. მაგალითად, თებერვალში შეკითხვას „უჭერთ მხარს საქართველოს ინტეგრაციას ნატოში?“ გამოკითხულთა 78 პროცენტმა დადებითად უპასუხა, 15 პროცენტმა კი — უარყოფითად.

რესპონდენტების 85 პროცენტი გამოვიდა საქართველოს ინტეგრაციის მხარდაჭერით ევროკავშირში და მხოლოდ 9 პროცენტი — ევროკავშირში ქვეყნის წევრობის წინააღმდეგ.

გამოკითხვა 3-8 თებერვალს მიმდინარეობდა საქართველოს ყველა რეგიონში. მასში მონაწილეობა 1,5 ათასმა სრულწლოვანმა მცხოვრებმა მიიღო. მთლიანად გამოკვლევის შედეგები გამოქვეყნდება 27 მარტს.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

კონგრესმენები ზემოქმედებას ახდენენ ობამაზე: უნდა დავეხმაროთ უკრაინას, „რომ რუსეთთან არ წავაგოთ“

8 კონგრესმენი, რომლებიც მარტის დასაწყისში კიევში იმყოფებოდნენ, მიიჩნევს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებისთვის თავისი მნიშვნელობით ამჟამად უკრაინა ვაშინგტონის მთავარი მოკავშირეა ნატოსთან ერთად. არადა, თეთრ სახლს უნდა გაეზარდა უკრაინის ხელისუფლების მხარდაჭერის მასშტაბი. ამ დროს კიევში ჩაიტანეს ჰუმანიტარული დახმარების პირველი ნაწილი ჩეხეთის თავდაცვის სამინისტროსგან.

„ნუ ენდობი და შეამოწმე“: აშშ-მა ბრალი დასდო რუსეთის ფედერაციას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის დარღვევაში

ვაშინგტონში გვაგრძნობინეს, რომ დაჟინებით მოითხოვენ იმ ობიექტების ინსპექციას, რომლებიც საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების დარღვევის ეჭვქვეშ აღმოჩნდნენ. ამრიგად, ამჟამად მოსკოვთან დაკავშირებით შეერთებული შტატები, რომელსაც მიაჩნდა, რომ რუსეთი ამუშავებს ახალ ფრთიან რაკეტას, იყენებს პრინციპს „ნუ ენდობი და შეამოწმე“.

ერთი კაცი დაიღუპა და სამი დაიჭრა სტამბოლის ჟურნალის რედაქციაში აფეთქების შედეგად

აფეთქების ხმა გაისმა ჟურნალ „ადიმლარის“ რედაქციაში, რომელსაც „დიდი აღმოსავლეთის მეომრების ისლამური ფრონტი“ გამოსცემს, — ეს არის მოძრაობა, რომელიც მხარს უჭერს თურქეთის ისლამიზაციას და არსებულ სახელმწიფოს მაღალი წრის წყობილებას უკანონოს უწოდებს.

საუდის არაბეთმა იემენში სამხედრო ოპერაცია დაიწყო

ელჩ ალ-ჯუბეის სიტყვებით, მისმა ქვეყანამ დაიწყო ავიადარტყმები მეამბოხე-ჰუსიტების წინააღმდეგ: „ყოველივე აუცილებელი რამ გაკეთდება, რათა დავიცვათ იემენის ხალხი და მისი კანონიერი მთავრობა“. ოპერაციაში, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებთან კონსულტაციების შემდეგ დაიწყო, მონაწილეობას ათი ქვეყანა მიიღებს.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

სს „ელმავალმშენებელი" 2015 წლის 27 მარტიდან აცხადებს აუქციონს შავი ლითონის ჯართის და სხვადასხვა არალიკვიდების რეალიზაციის შესახებ.

ლოტი №1:
ელ. ძრავა 5-3-51 – 151 ცალი – 1 ცალის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 100 ლარს დ.დ.გ.-ს გარეშე;
ელ.ძრავა 5-3-51 – 24 ცალი – 1 ცალის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 150 ლარს დ.დ.გ.-ს გარეშე;
ელ.ძრავა ЗДТ-52 – 421 ცალი – 1 ცალის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 130 ლარს დ.დ.გ.-ს გარეშე;
ლოტი №2:
შავი ლითონის არაგაბარიტული ჯართი (მეორადი მილი Ф270) – სავარაუდოდ 20 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 300 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარში) დ.დ.გ.-ს გარეშე;
ლოტი №3:
შავი ლითონის არაგაბარიტული ჯართი – სავარაუდოდ 100 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 145 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარში) დ.დ.გ.-ს გარეშე;
ლოტი №4:
თითბერის ფურცელი 0.8 – სავარაუდოდ 200კგ. – 1კგ. საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 20.77 ლარს დ.დ.გ.-ს გარეშე;
ლოტი №5:
სპილენძის ფურცელი 0.5 – სავარაუდოდ 150კგ. – 1კგ. საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 27.46 ლარს დ.დ.გ.-ს გარეშე;
ლოტი №6:
დრობი – სავარაუდოდ 4.5 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 500 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარში) დ.დ.გ.-ს გარეშე;

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე" (ლოტის ღირებულების 10%), რომელიც წაგების შემთხვევაში მონაწილეს დაუბრუნდება უკან.

გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:
USD-Account: Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.
GEL-Account: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი". ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი", მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და „ბე" არ დაუბრუნდება.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:
აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმი დღეების გარდა, 10⁰⁰-დან 13⁰⁰-საათამდე (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2015 წლის 02 აპრილს 12⁰⁰ საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:
1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, ლოტის მითითებით, მონაწილეზე ზოგადი ინფორმაციის გათვალისწინებით (მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით)
2. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
3. პირადობის მოწმობის ქსეროასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:
აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ:
ვებ-გვერდი: www.glmf.ge ; ტელ. 5 14 30 88 33, 5 93 922 802, 5 77 003 707

სს „ელმავალმშენებლის" მუდმივმოქმედი საკონკურსო და სააუქციონო კომისია.

ეკონომიკური ზრდა – ძველი ენების „მკვლელი"

მკვლევარები ამტკიცებენ, რომ, მართალია, ეკონომიკური განვითარება, უდავოდ, კარგი რამაა, მაგრამ, თურმე, სწორედ მის გამოა, რომ მთელ მსოფლიოში ლინგვისტური მრავალფეროვნება თანდათანობით ქრება. ისმება კითხვა: არის უნივერსალური ენისადმი სწრაფვა ბუნებრივი მოვლენა?

ბოლო ხანებში გამოკვლევათა შედეგებით ირკვევა, რომ ისეთი რეგიონები, როგორებიცაა ჩრდილოეთი ავსტრალია, ასევე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის სამხრეთ-დასავლეთი, მომაკვდავ ენათა „ცხელი წერტილებია". გამოკვლევის ავტორები ყურადღების მიქცევას რეგიონებისთვის ცდილობენ, რომლებიც ენობრივ მრავალფეროვნების შენარჩუნებაზე ზრუნავენ.

– ეკონომიკის განვითარების პარალელურად, ერთი ენა ქვეყნის პოლიტიკურ და საგანმანათლებლო სფეროებში გაბატონებულ მდგომარეობას იჭერს ხოლმე, – ამბობს დიდი ბრიტანეთის კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი ტაცუია ამანო. – ხალხი იძულებულია, ამ ენასთან ადაპტირება მოახდინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში „თამაშგარე მდგომარეობაში" აღმოჩნდება. ენის ამორჩევის უფლება, ცხადია, ყველას აქვს, თუმცა კი, მომაკვდავი ენის გადასარჩენად, საჭიროა მთელ მსოფლიოში კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება.

გამოკვლევით დადგინდა მომაკვდავი ენებისთვის საფრთხის დონე – დაახლოებით ისე, როგორც ამას გადაშენების პირას მყოფი ცხოველებისთვის აფასებენ. მაგალითად, ჩრდილოეთი ამერიკის სამხრეთ-დასავლეთში, ატაბატურ ენაზე მოლაპარაკე მხოლოდ 24 კაცია დარჩენილი. ეს ენა არსად ისწავლება, ამდენად, თუკი აქამდე ჯერ არ გამქრალა, უახლოეს მომავალში გაქრება.

პროფესორი ამანო აღნიშნავს, რომ **ძველი, უაღრესად ლამაზი ენები და მათთან დაკავშირებული მდიდარი კულტურები არ უნდა გაქრნენ მხოლოდ იმიტომ, რომ, ეკონომიკურ მიზეზთა გამო, იზრდება საერთაშორისო ენის დაუფლების აუცილებლობა.**

მათი თაფლიც კი არ გვინდა!

ფუტკარს „ღვთის მწერს" ტყუილად როდი ეძახიან, მაგრამ არსებობს მათი უაღრესად საშიში სახეობები, რომელთაგან განსაკუთრებით სახიფათონი ეგრეთ წოდებული „მკვლელები" არიან.

„მკვლელი ფუტკრები" პირველად 1990 წელს, ტეხასის შტატში აღმოაჩინეს, მაგრამ მაშინ ისინი ცოტანი იყვნენ. ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ამ საშინელმა მწერებმა სამხრეთ ამერიკაში რამდენიმე ათასი კაცის სიცოცხლე შეიწირეს. მათი შხამის წინააღმდეგ საბრძოლველად მედიცინა ჯერჯერობით უძლურია: ჩვეულებრივ „მკვლელი ფუტკრები" ადამიანს რამდენიმე წამში ესევიან და მის სხეულს უცბად ერთ უზარმაზარ „ნაკბენად" აქცევენ. არადა, თავდაპირველად, ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო. **1957 წელს, ბრაზილიელმა მეცნიერებმა, ადგილობრივი ჯიშის თაფლის მომცემი ფუტკრების პროდუქტიულობის ამაღლების იმედით, მათთან შესაჯვარებლად გარკვეული ოდენობით ველური აფრიკული ფუტკრები ჩაიყვანეს.** ვიღაცის დაუდევრობით, ბოლომდე შეუსწავლელი ჰიბრიდები გაფრინდნენ, უსწრაფებად გამრავლება და ახალი ტერიტორიების დაპყრობა დაიწყეს. როგორც ჩანს, შეჯვარებას რაღაც არაკონტროლირებადი გენური მუტაცია მოყვა.

ახლა კი აფრიკელი მუტანტი ფუტკრები ამერიკის სამხრეთ შტატებს ემუქრებიან, ამდენად ქვეყნის სანიტარიული სამსახური საკმაოდ რთულად გადასაწყვეტი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა – როგორ გაარჩიოს ერთმანეთისგან „მკვლელი" ფუტკრები ჩეულებრივისგან. მათდა გასაოცრად, დახმარება ნოქსვილის ცნობილი ოკ-რიჯის ეროვნული ლაბორატორიის მეცნიერებმა გაუწიეს, რომლებმაც ორიგინალური, ფუტკრების ერთმანეთისგან ბზუილით გამრჩევი ხელსაწყო შექმნეს. **აღმოჩნდა, რომ აფრიკული ფუტკრები ფრთებს ჩვეულებრივზე უფრო მეტი სიხშირით იქნევენ, ამიტომაც ფრენისას განსხვავებულ ხმას გამოსცემენ.**

აღსანიშნავია, რომ აკუსტიკურ ანალიზს ატომურ მრეწველობაში იყენებენ რეაქტორთა მუშაობის საიმედობის ხარისხის გასარკვევად. ამერიკელებმა ხიფათის გამოცნობა უკვე ისწავლეს, ახლა საქმე ისაა, როდის შეძლებენ ამ „ქილერების" მოსპობას?

ბანანი... კვერცხის მაგივრად

დარწმუნებული ვართ, რომ ბევრმა ჩვენგანმა არაერთი ისეთი რამ იცის, რაც სხვისთვის უცნობია, თუმცა კი, ცხოვრებაში ნამდვილად გამოსადეგია. ამ ჯერზე რამდენიმე ისეთ რჩევას შემოგთავაზებთ, რომელიც სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში შეიძლება გამოგადგეთ.

თუკი ძილი გერევათ, სუნთქვა მაქსიმალურად შეიკავეთ, შემდეგ კი ნელა ამოისუნთქეთ. ეს ხერხი გულისცემის აჩქარებაში დაგეხმარებათ.

- თუ გსურთ, რომ მობილურ ტელეფონში მუსიკა უფრო მაღალ ხმაზე გესმოდეთ, ის ჯამში ჩადეთ.
- თუ ნამცხვრის გამოცხობა გადაწყვიტეთ, მაცივარში კი კვერცხი არ აღმოგაჩნდათ, მათ მაგივრობას ბანანები გაგიწევენ (თითო კვერცხის მაგივრად ნახევარი ბანანი).
- სირბილის დროს გვერდი რომ არ აგტკივდეთ, როცა კი მარცხენა ფეხი მიწას შეეხება, ყოველ ჯერზე ამოისუნთქეთ.
- თუ კოღომ გიკბინათ, კოვზი გაახურეთ და ნაკბენ ადგილზე მიიდეთ. შედეგად, ნაკბენისგან ტკივილი დაგიამდებათ და ქავილიც შეწყდება.
- ძილის წინ ვაშლის წვენი სვით – იგი ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, რომლებიც ფერად სიზმრებს უფრო ხასხასას ხდის.
- პინგ-პონგის ჩაჭყლეტილ ბურთს ადვილად გაასწორებთ, თუკი მას სანთებელაზე გაახურებთ (ოღონდა, ცხადია, ამ დროს ცეცხლი ძალიან ახლოს არ უნდა მიიტანოთ): ბურთის შიგნით გაზი გაფართოვდება და ისიც ახალივით გახდება.
- თუკი ენა დაგეწვათ, შაქარი ტკივილს დაგიამებთ.

„გრილი თვითრეგულირება"

ამერიკელ ფსიქოლოგთა დასკვნის შესაბამისად, კონდიციონერები სულაც არ არის სიცხისგან დაცვის ერთადერთი საშუალება.

სხეულის ტემპერატურის დაწევა შესაძლებელია ბიოუკუკავშირის მეშვეობით, რომელსაც, ამის გარდა, ასევე შეუძლია სისხლის წნევის, მისი მიმოქცევის, კუნთების ტონუსისა და გულის მუშაობის რეგულირება.

გამოკვლევის ხელმძღვანელის მარჯორი ედმუნდსის თქმით, **ადამიანს საკუთარი სხეულის ტემპერატურის რეგულირება სიგრილის, გრილი ნიავის სურათების წარმოსახვით შეუძლია.** ამ დროს საჭიროა საკუთარი შთაბეჭდილებების ხმამაღლა წარმოთქმა, თუნდაც გარშემო არავინ არ იყოს. ასევე **სასარგებლოა მონაცვლეობით კუნთების დაძაბვა და მოდუნება, მაგრამ ეს ნელა უნდა გაკეთდეს.** დიდად მნიშვნელოვანია ამ დროს თვალების დახუჭვა, რათა გარედან ინფორმაციის მიღება გამოირიცხოს და საკუთარ შეგრძნებებზე კონცენტრირებაში ხელი არ შეგიშალოს. პროფესორ ედმუნდსის განცხადებით, ამ მეთოდით შეიძლება „ჯოჯოხეთური სიცხისთვისაც გაძლება".

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს „ენგურჰესი" აცხადებს პირობათა გამოკითხვას 500 კვ-ის ქსელის გარდამავალი პროცესების მოდელირებისა და კომუტაციის ანალიზის, 500 კვ-ის ელ. გაზური ამომრთველების წინასწარი ჩართვის რეზისტორების შერჩევის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

დეტალური ინფორმაცია გასაწევ მომსახურებაზე მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

პირობათა გამოკითხვის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მსურველებს დოკუმენტაციის მიღება ქართულ და ინგლისურ ენებზე შეეძლებათ მოთხოვნისთანავე 2015 წლის 30 მარტის 14 სთ-დან 10 აპრილის 18 სთ-მდე, მისამართზე ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 8, „ენგურჰესის" ოფისი.

პრეტენდენტებმა პირობათა გამოკითხვის შესახებ წინადადება დახურულ კონვერტებში ერთი ორიგინალი და ერთი ასლი ქართულ ენაზე ან ინგლისურ ენაზე ქართულ თარგმანთან ერთად, უნდა წარმოადგინონ 2015 წლის 15 აპრილის 10 სთ-დან 18 სთ-მდე, მისამართზე ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 8, „ენგურჰესის" ოფისი.

წინადადებები გაიხსნება 2015 წლის 16 აპრილს 12 სთ-ზე.

დამატებითი ინფორმაციის მიღება პროცედურებთან დაკავშირებით შეგიძლიათ, მიიღოთ შემდეგ ნომერზე;
ჯეირან არონია 595 96 22 96

პირობათა გამოკითხვის კომისია

განცხადება

ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №12ა, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, ორი ათას თოთხმეტი წლის ოცდაცხრა აგვისტოს გარდაცვლილი ქალბატონი ნინა ფროლოვას (პირადი № 61001022798) მცხ. ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №51/55, ბინა №61) მიმართ, გთხოვთ, დაინტერესებულ პირებს მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა, ნოტარიუსი ვალიდა ნინიძე.

ნოტარიუსი
ვალიდა ნინიძე

◎ ფეხბურთი

ცხადაძე იწყებს და იგებს

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით პირველი საერთაშორისო შეხვედრა გამართა: კახი ცხადაძის ბიჭებმა ამხანაგურ მატჩში მალტას უმასპინძლეს და 2:0 დაამარცხეს.

„ჯვაროსნებმა“ ორივე გოლი მატჩის მიწურულს გაიტანეს: 83-ე წუთზე შეგდებული ბურთი ჯაბა კანკავას ანგარიშზეა – ლატვიელმა მსაჯმა ანუფრიევსმა ხელით თამაში ვერ შენიშნა და ჩვენს კაპიტანს გოლი ჩაუთვალა, 88-ე წუთზე კი ვალერი ყაზაიშვილმა მიითვალა ლამაზი გოლი. ის შეცვლაზე ჩაერთო თამაშში.

მასპინძლებს მანამდეც შეეძლოთ ორი ბურთის გატანა – პირველ ტაიმში გიორგი ჭანტურიას დარტყმული ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს, შესვენების შემდეგ კი თორნიკე ოქრიაშვილმა მალტელთა კარის ხარიხა შეაზანზარა. მეორე ტაიმში გოლს საქართველოს ნაკრებიც გადაურჩა – სტივ ბეზინას დარტყმის შემდეგ ბურთი კარის ძელმა აისხლიტა.

„მატჩის მსვლელობისას ტაქტიკური მონახაზი რამდენჯერმე შევცვალეთ – მოგება გვინდოდა და ამიტომაც გადავდგით ეს ნაბიჯი. პირველი ტაიმი უფრო ემოციური იყო, მეორე ნახევარში კი შეტევაზე გავაკეთეთ აქცენტი. მთლიანობაში ბიჭების მოქმედებით კმაყოფილი ვარ, თუმცა სამუშაო ბევრი გვაქვს. რაც შეეხება გერმანიის ნაკრებთან მატჩს, იქამდე რამდენიმე დღე გვაქვს და ვეცდებით მაქსიმალურად კარგად მოვემზადოთ მისთვის“, – განაცხადა ცხადაძემ პრეს-კონფერენციაზე.

ეს იყო ჩვენი გუნდის მერვე დაპირისპირება მალტასთან. საქართველოს ნაკრებმა მეხუთედ სძლია მეტოქეს, მალტელთა აქტივში კი ერთადერთი მოგებაა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ნაკრების ისტორიაში პირველად ითამაშა შვილმა მამის გაწვრთნილ გუნდში – 70-ე წუთზე კახი ცხადაძის ვაჟი ბაჩანა ლევან მჭედლიძის ნაცვლად ჩაერთო თამაშში.

და კიდევ: ჩვენმა გუნდმა ისტორიაში 74-ედ ითამაშა შინ და მე-100 „საშინაო“ ბურთი სწორედ ამ თამაშში გაიტანა – საიუბილეო ჯაბა კანკავას გოლი გამოდგა.

საქართველო: გიორგი ლორია (ნუკრი რევიშვილი 46), ალექსანდრე ამისულაშვილი, გურამ კაშია, საბა კვირკველია (ლევან ყენია 46), სანდრო კობახიძე (ნიკა ძალამიძე 85), ჯაბა კანკავა (კაპ), კახა მახარაძე, გიორგი ნავალოვსკი, გიორგი ჭანტურია (ვაკო ყაზაიშვილი 63), თორნიკე ოქრიაშვილი (მათე ვაწაძე 70), ლევან მჭედლიძე (ბაჩანა ცხადაძე 70)

გიორგი ზოთაძე

◎ თანამშრომლობა

სამინისტროსა და საქართველოს რკინიგზას შორის მემორანდუმი გაფორმდა

„ექსპო-ზორჯიას“ მესამე პავილიონში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა და „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა მამუკა ბახტაძემ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

მემორანდუმის გაფორმებას დაესწრნენ რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ გაბრიჩიძე და საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი დავით რურუა, ასევე, სარაგბო გუნდ „ლოკომოტივის“, კალათბურთის გუნდის „სოხუმის“ და წყალბურთის გუნდის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელები, მენეჯერები, მწვრთნელები და მოთამაშეები. ეს ის კლუბებია, რომელთაც საქართველოს რკინიგზა ფინანსურ დახმარებას უწევს.

მემორანდუმის მიზანია ქართული სპორტის განვითარების, საერთაშორისო და ეროვნულ შეჯიბრებებში ქართველ სპორტსმენთა შეუფერხებლად მონაწილეობისა და ფიზიკურად ძლიერი ჯანსაღი თაობის აღზრდის ხელშეწყობა.

„საქართველოს რკინიგზა“ გამოხატავს მზადყოფნას, რომ კეთილი ნების საფუძველზე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობის გათვალისწინებით, უზრუნველყოს სპორტის სხვადასხვა სახეობის ფინანსური მხარდაჭერა.

„საქართველოს რკინიგზა“ ეხმარება სარაგბო გუნდს – „ლოკომოტივს“ და კალათბურთის გუნდს „სოხუმს“, ასევე წყალბურთის გუნდს „ლოკომოტივს“, რომელიც ახლა ყალიბდება.

რაგბის გუნდი „ლოკომოტივი“, რომელიც რაგბის ეროვნული პირველობის უმაღლეს ლიგაში თამაშობს, დიდი ტრადიციებით გამოირჩევა და საქართველოს პირველობაც არაერთხელ მოუგია.

სუპერლიგის მონაწილეა საკალათბურთო გუნდი „სოხუმიც“, რომელიც წლევანდელ გათამაშებაში მე-7 ადგილს იკავებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მეტოქე

იოახიმ ლიოვი: საქართველოსთან მხოლოდ გამარჯვება დაგვაკმაყოფილებს

გერმანიის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა ავსტრალიის ნაკრებთან ფრედ (2:2) დასრულებული ამხანაგური მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ 29 მარტს ევრო-2016-ის შესარჩევ ციკლში საქართველოსთან შეხვედრაში მისაღები შედეგი მხოლოდ გამარჯვება იქნება.

„ავსტრალიასთან თამაშში შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებები კლუბებში ფეხბურთელების გადატვირთვას უკავშირდება. საერთო ჯამში საკმაოდ არეული თამაში გამოვიდა. პირველი ტაიმი კარგად ჩავატარეთ, ხოლო შესვენების შემდეგ რაღაც მოიშალა.

თავდაპირველად საგოლე მომენტებს ვქმნიდით, ხოლო შემდეგ მოულოდნელად ვაგებდით. პრინციპში, დაცვაში თამაში არ გამოგვივიდა. გვესმის, რომ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გვსურს, მაგრამ საქართველოსთან მნიშვნელოვანი მატჩისთვის ვემზადებით, რომელშიც მხოლოდ გამარჯვება დაგვაკმაყოფილებს“, – იუწყება ლიოვის სიტყვებს გერმანიის საფეხბურთო კავშირის ოფიციალური ვებგვერდი.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჭიდაობა

კიდევ 1 ვერცხლი და გუნდური მე-2

პოლონეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის მე-2 დღე ნაკლებწარმატებული გამოდგა თავისუფალი სტილით მოჭიდავე საქართველოს 23-წლამდელთა ნაკრებისთვის.

შეგახსენებთ, რომ გახსნის დღეს ნაკრების ოთხივე წევრმა მედალი (2 ოქრო, თითო ვერცხლი და ბრინჯაო) მოიპოვა, ამჯერად კი ერთადერთ ვერცხლს დავჯერდით.

მძიმე წონით კატეგორიაში მოასპარეზე გიორგი მეშვილდიშვილმა ფინალამდე დამაჯერებლად იარა, იქ კი რუს მურადინ კუშკოვთან 0:6 დამარცხდა.

კვარცხლბეკზე ასვლის შანსი ჰქონდა გიორგი შამათავასაც (61 კგ.), თუმცა, მე-3 ადგილისთვის ორთაბრძოლაში მოლდოველ მიჰაი ესანუსთან 3:10 წააგო, არადა, პირველი პერიოდის შემდეგ 3:0-ს იგებდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა 57 ქულით მეორე ადგილი დაიკავა და მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩა რუსეთს. მესამეზე აზერბაიჯანი გავიდა 48 ქულით.

კობა კობახიძე

◎ ძიუდო

სამსუნის გრან პრიზე 12 ქართველი იჭიდავებს

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ სამსუნის გრან პრიზე დასაყენებელი შემადგენლობა დაასახელა.

თურქეთი პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირს 27-29 მარტს უმასპინძლებს და წინასწარი მონაცემებით, შეჯიბრებაში 70 ქვეყნის ნაკრები ჩაერთვება, ქართული გუნდი კი ტატამზე 12-კაციანი შემადგენლობით გავა. აქედან 5 სპორტსმენი გუნდს თბილისის გრან პრის შემდეგ დაემატა.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში სატურნირო ბადე ქართველების გარეშე შეივსება, ხოლო დანარჩენ ექვს წონაში საქართველოს დროშის ქვეშ ორ-ორი ძიუდოისტი იჭიდავებს.



დღეს ჩემპიონ-პრიზიორები მამაკაცთა შორის 60 და 66 კილოგრამ წონით კატეგორიებში გამოვლინდებიან, ხვალ მედლები 73 და 81 კილოგრამებში გათამაშდება, ხოლო ზეგ – 90, 100 და +100 კილოგრამებში.

გრან პრის საუკეთესო სამეულში შესული სპორტსმენები მედლებთან ერთად, შესაბამისად, 300, 180 და 120 სარეიტინგო ქულას მიიღებენ.

საქართველოს ნაკრები

60 კგ – ლუხუმ ჩხვიმიანი და გიორგი ბროლაშვილი,

66 კგ – ვაჟა მარგველაშვილი და ტრისტან ფეიქრიშვილი,

73 კგ – ნუგზარ ტატალაშვილი და ლაშა შავდათუაშვილი,

81 კგ – უშანგი მარგიანი და ზეზედა რეხვიაშვილი,

100 კგ – ალექსანდრე მსხალაძე და ალექსანდრე ზაალიშვილი,

+100 კგ – გუგა კიბორძალიძე და გიორგი ბოლოთაშვილი.

ბეჭან დოლიძე

◎ დოპინგი

ბულგარეთი ჩავარდა

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აპრილში თბილისში გასამართ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე, ბულგარეთის ნაკრები აღარ ჩამოვა. მიზეზი დოპინგ- სკანდალია რომელშიც არა ერთი ან ორი, არამედ მთლიანად ნაკრები გაეხვა.

„სტანოზოლოლს უკვე აღარავინ იყენებს. შოკირებული ვარ. ერთადერთი ვერსია, რატომაც ეს ანაბოლიკები სპორტსმენთა ორგანიზმში შეიძლებოდა აღმოჩენილიყო, საკვების დანამატებია, რომელსაც ჩემი ძალოსნები ვარჯიშის შემდეგ აღდგენითი პროცედურებისთვის იღებდნენ. ის ფირმები, რომლებიც მათ აწარმოებენ და ჩვენ შევიძინეთ, გარანტიას გვაძლევდნენ, რომ დოპინგის შემცველი არაფერი იქნებოდა“ – განაცხადა ბულგარეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ივან ივანოვმა. თვითონ აღნიშნულმა კომპანიებმა ინციდენტთან რაიმე კავშირის არსებობა კატეგორიულად უარყვეს.

მარტის დასაწყისში ბულგარეთის ძალოსანთა გუნდი საქართველოს დედაქალაქში დაგეგმილი ევროპის ჩემპიონატისთვის შეკრებას გადიოდა, რა დროსაც სათითაოდ ყველა სპორტსმენს დოპინგ-სინჯები აუღეს და შედეგმაც არ დააყოვნა. 11 ათლეტის სისხლში სტანოზოლოლის სტეროიდის კვალს მიაკვლიეს, რაც პირდაპირ დოპინგის კატეგორიას განეკუთვნება.

შეგახსენებთ, რომ ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ბულგარეთის ძალოსანთა ნაკრები დოპინგგაუგებრობაში ეხვევა. 2008 წლის პეკინის ოლიმპიადამდე 2 თვით ადრე ბულგარელთა გუნდი ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდა და მაშინაც სრული შემადგენლობით ოლიმპიურ ფიცარნაგზე ასპარეზობა აეკრძალა.

აკრძალული პრეპარატების მიღებაში მხილებულ ბულგარელ ძალოსნებს ოთხი, ხოლო მათ მწვრთნელს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრებათ.

ბადრი იაშვილი

◎ მთავარია ხარისხის გაუმჯობესება

ქართული თხილის ექსპორტი ავტომობილების ექსპორტს არ ჩამორჩება

თხილის ბიზნესი საქართველოში თანდათან, მაგრამ სტაბილურად ვითარდება. ამაზე მეტყველებს „საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიც, რომლის თანახმად, 2015 წლის იანვარ-თებერვალში, სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი ტრადიციისამებრ, მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა, რომელმაც მთლიანი ექსპორტის 13 პროცენტი შეადგინა, ხოლო მეორე ადგილი თხილის ექსპორტს ერგო — ამ სეგმენტმაც მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 13 პროცენტი დაიკავა. მესამე ადგილზე ფეროშენადნობების ჯგუფმა გადმოინაცვლა — ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტზე მთლიანი ექსპორტის 11 პროცენტი მოდის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 2014 წლის იანვარ-სექტემბერში თხილი საექსპორტო ჩამონათვალში მე-6 ადგილზე იყო, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ თხილს აქვს მსოფლიო ბაზარზე თავისი ნიშის დამკვიდრების პოტენციალი, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი მსოფლიო ბაზარზე თხილის უმსხვილესი მწარმოებელია და ამ ქვეყანასთან კონკურენციის გაწევა რთული იქნება.

„მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ და გონივრული, გააზრებული ნაბიჯები უნდა გადავდგათ“, — განაცხადა bpn.ge-სთან საუბრისას თხილის გადამამუშავებლთა და ექსპორტიორთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მოწერელიამ.** მისი თქმით, ამ დარგში ბევრი რამ გვაქვს დასახვეწი და გამოსასწორებელი.

— ავტომობილების ექსპორტს თხილის ექსპორტს არ შევადარებ, იმიტომ, რომ ავტომობილების ექსპორტი სინამდვილეში არის რეექსპორტი. ეს ავტომობილები დასავლეთის ქვეყნებიდან შემოჰყავთ და მერე გადის ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში. თხილი კი, საქართველოშია წარმოებული. სტატისტიკის მიხედვით, თხილის ბიზნესმა საქართველოს 2014 წელს 182 მილიონი დოლარის შემოსავალი მოუტანა. რა თქმა უნდა, პოტენციალი საკმარისია და შეიძლება, ვისაუბროთ ამ რაოდენობის გაორმაგებასა და გასამმაგებაზეც. არსებობს გრძელვადიანი პროგრამა, ახალი ნარგავებიც იზრდება და ქართული თხილიც თანდათან უფრო ცნობადი ხდება. შეიძლება ითქვას, რომ ეს დარგი დინამიკურად ვითარდება და ძალიან დიდი პოტენციალი აქვს, თუმცა, უმჯობესია თვითტკბობას არ მივეცეთ და ყველაფერი ზუსტად გავთვალოთ. ქართული თხილის წარმატების მთავარი მიზეზი თურქეთში უამინდობა იყო, რის გამო მცირე მოსავალი მოვიდა. ამიტომ, სიმართლეს თვალებში უნდა ჩავხედოთ: დღეს თურქეთში არსებული დეფიციტის გამო ქართული თხილი მსოფლიო ბაზარმა გაიწოვა, მაგრამ რა მოხდება მომავალ წელს, როცა ეს დეფიციტი აღარ იქნება? ექსპორტის რაოდენობის ზრდის მეორე მიზეზიც არსებობს — ქართული თხილის ცნობადობა თანდათან მატულობს.

— ბატონო ალექსანდრე, ცნობილია, რომ ქართული თხილი თურქულს ხარისხით არ ჩამოუვარდება. მაინც რაშია ქართული თხილის სუსტი მხარე?

— ერთია გემო, ხარისხი და მეორე — გადამუშავების პროცესში დაშვებული შეცდომები. მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ საქართველოში თხილს იმ დონეზე არ უვლიან, როგორც თურქეთში. საჭიროა მეცნიერულად დამუშავებული პროგრამა, რომლითაც ეს დარგი იხელმძღვანელებს. ადრე არსებობდა ჯიშთა გამოცდის ცენტრები, სადაც ახალი და საინტერესო ჯიშები გამოჰყავდათ, ამ მიმართულების აღდგენაც არ იქნებოდა ურიგო. ერთი სიტყვით, ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობაა საჭირო. ქართული თხილის ხვალინდელი დღე ხარისხის გაუმჯობესებაზეა დამოკიდებული. უნდა შევძლოთ და არ დავკარგოთ ნიშა, რომელიც დღეს მსოფლიო ბაზარზე გვაქვს.

— გადამუშავების პროცესში დაშვებული შეცდომები ახსენეთ. კონკრეტულად რომელ შეცდომას გამოყოფდით?

— ქართულ თხილს დროული და სწორი გაშრობა აკლია, რის გამოც ფარული სიდამპლე მასში ძალიან მაღალია. ამიტომ, მსოფლიოს წამყვანი კომპანიები ერიდებიან ქართული თხილის შესყიდვას, თანაც, ეს არა ბუნებრივი, არამედ არასწორი გადამუშავებისა და შენახვის გამო მიღებული პრობლემაა. მოგეხსენებათ, ეს დარგი ძირითადად წვრილი გლეხური მეურნეობების ხელშია. მართალია, ჩვენი გლეხების ერთმა ნაწილმა დაიწყო თხილის ნაკვეთების მოვლა, მაგრამ მცენარის მოვლა ერთია და მიღებული ნედლეულის შენახვა — სულ სხვა. შეიძლება თხილს სასუქიც მისცე, მოუარო, მოსავალიც კარგი მიიღო, მაგრამ შენახვის პირობებს თუ არ დაიცავ, თხილი გაფუჭდება. არადა, ჩვენი გლეხები რაც უფრო ხარისხიან პროდუქციას მიიტანენ ქარხნებში, ანაზღაურება მით უფრო გაეზრდებათ. ხშირად ქართველი გლეხები და ფერმერები ელემენტარულ ნორმებსაც ვერ იცავენ: ახლად დაკრეფილ თხილს პოლიპროპილენის ტომრებში ინახავენ, დროულად ვერ აშრობენ, მერე კი, სადაც ინახავენ, იქაც სინესტეა და თხილი თანდათან ფუჭდება. სხვათა შორის, „ფერერომ“ შემოიტანა ე.წ. ჯვალოს ტომრები, რომელშიც თხილი „სუნთქავს“ და არ ინესტება. ეს არის კანაფისგან მოქსოვილი ტომრები, რომლებიც პოლიპროპილენს ბევრად სჯობს. ხომ შეიძლება ეს მაინც გაკეთდეს? თუ ამ ხარვეზებს გამოვასწორებთ, ქართული თხილის მიმართ უნდობლობა გაქარწყლდება და თუ ჩვენს თხილს ცნობილი კომპანიები შეიძენენ, მთელი მოსავლის გაყიდვას შევძლებთ, მომავალში კი გაორმაგებასა და გასამმაგებას. ამ შემთხვევაში 182 მილიონ დოლარზე კი არ გვექნება საუბარი, არამედ 400 და 500 მილიონზე წელიწადში. ეს, რა თქმა უნდა, სოლიდური თანხაა, რომელიც დიდ სარგებელს მოუტანს საქართველოსა და მის მოსახლეობას.

— რა წილი უკავია მსოფლიო ბაზარზე ქართულ თხილს?

— მსოფლიოში ყოველწლიურად 900 ათას ტონა გაუტეხავ თხილს მოიხმარენ, აქედან თურქეთის წილი 600 ათასი ტონაა, რჩება 300 ათასი ტონა, რომელიც ნაწილდება შემდეგ ქვეყნებზე — იტალია, საქართველო, ესპანეთი, აზერბაიჯანი, საფრანგეთი... თუ საქართველოში თხილის ნარგავების რაოდენობა გაიზრდება, ჩვენ შევძლებთ საკმაოდ სწრაფად დავეწიოთ იტალიას, სადაც მთელი წლის განმავლობაში 140-150 ათასი ტონა თხილი მოჰყავთ. საქართველოში ყველაზე დიდი მოსავალი, რაც დაფიქსირებულა, იყო 70 ათასი ტონა, ანუ იტალიის მოსავლის ნახევარი. იმის გამო, რომ გლეხებს არა აქვთ საშრობები, ჩვენ ვერ ვინარჩუნებთ ხარისხს — სეზონის დასაწყისში ქართული თხილი კარგია და ყველა სტანდარტს შეესაბამება, სეზონის ბოლოს კი, ერთი შეხედვით მშრალია, მაგრამ შიგნით სიდამპლე აქვს. უხეშად რომ ვიანგარიშოთ, 1 ტონა თხილში 800-900 დოლარი იკარგება იმის გამო, რომ ის თავის დროზე არ გააშრეს და არ შეინახეს. ნებისმიერ შემთხვევაში ახლად დაკრეფილი თხილი სამი დღე მაინც უნდა იყოს მზეზე, კარგად გაშრეს და მერე უნდა ჩაყარონ ისეთ ტომრებში, სადაც ნესტი არ გაუჩნდება. თურქეთში თხილს განსაკუთრებით უვლიან, ამიტომ დღეს 1 კილოგრამი თურქული თხილი მსოფლიო ბაზარზე 15 დოლარი და 20 ცენტი ღირს, ხოლო ქართული — 13 დოლარი და 50 ცენტი, ეს კი სერიოზული განსხვავებაა. ხარისხი, მიწოდებისა და გადახდის პირობები, ცნობადობა — ეს ის საშუალებებია, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ქართული თხილის წარმატებას განსაზღვრავს და ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ ინფორმაცია

WIZZ AIR-ი ქუთაისიდან კიევის მიმართულებით რეისებს აღარ შეასრულებს

უნგრული ავიაკომპანია Wizz Air-ი 20 აპრილიდან კიევი-ქუთაისისა და ქუთაისი-კიევის რეისებს აღარ განახორციელებს. იმ მომხმარებლებს კი, რომელთაც უკვე ნაყიდი აქვთ ბილეთები, კომპანია მათ გადახდილ თანხას უკან დაუბრუნებს. ამის შესახებ კომპანიის ოფიციალური გვერდი იტყობინება.

ფრენების გაუქმების მიზეზი უკრაინაში Wizz Air-ის წარმომადგენლობის დახურვაა. რეისები გაუქმდება კიევიდან ბარსელონას, ვალენსიას, მოსკოვის, მილანის, ნეაპოლისა და ვენეციის მიმართულებითაც.

თუმცა, Wizz Air-ი ფრენების შესრულებას გააგრძელებს ბუდაპეშტის, ლონდონის, კიოლნის, დორტმუნდის, ჰამბურგის, მიუნხენის, კატოვიცესა და ლარნაკას მიმართულებით. ავიაკომპანია Wizz Air-ის რეისები 37 ქვეყანაში ხორციელდება. იგი ერთ-ერთი ყველაზე დაბალფასიანი ავიაკომპანიაა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77;
568 82-09-84.

◎ რეპლიკა

რა ხდება?

არ მოგბეზრდათ? ჯერ იყო და უსუფაშვილმა ბრძანა, ნაციონალები უნდა გადავარჩინოთო, შემდგომ საახალწლო მილოცვა გაეგზავნა ქვეყნის მოღალატე, ძებნილ საakაშვილს, ახლა კი ზარზეიმით, მოფერებით, ზურგზე ხელების თათუნით, პირზე კოცნით გაისტუმრეს კოტე კუბლაშვილი, იმის მაგივრად, რომ მის მიმართ საქმე აღეძრათ, ლექციების წასაკითხად განაწესეს უნივერსიტეტში. ადვილად წარმოსადგენია, თუ რას ასწავლის ის სტუდენტებს.

გვიპასუხეთ!

ლონდა მდივანი

◎ ინფორმაცია

ჩამოერთვა ფსიქოტროპული წამლები

საბაჟო გამშვები პუნქტის, „წითელი ხიდის“ ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მხრიდან შემოვიდა საქართველოს მოქალაქე გ. გ., რომელსაც ფიზიკური დათვალიერების შედეგად აღმოაჩნდა ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველობის მედიკამენტები, კერძოდ: KODELAK — 40 აბი (თითო აბი შეიცავს 8 მლგრ. კოდეინს) , CEDALGIN NEO — 40 აბი (თითო აბი შეიცავს 15 მლგრ. ფენობერბიტალს და 10 მლგრ. კოდეინს), ACTIFED — 100მლგრ. სითხე (შეიცავს ფსევდოეფედრინს).

საქმე შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარ სამმართველოს.

◎ სამუშაოს ეძებთ?

პროფესიები, რომლებზეც მოთხოვნა მაღალია

უმუშევრობა საქართველოში არსებულ პრობლემებს შორის უმთავრესია. სწორედ, უმუშევრობით აიხსნება ის, რომ საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი უცხოეთში საქმიანობს და უკან დაბრუნებას არ ჩქარობს. თუმცა, საქართველოშიც არის ისეთი პროფესიები, რომლებზეც მოთხოვნა მაღალია და სამსახურს შედარებით მარტივად იშოვით. bpn.ge დასაქმების რამდენიმე სააგენტოს დაუკავშირდა და ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების დასახელება სთხოვა.

როგორც სააგენტო hr.ge-ს მენეჯერმა გვითხრა, ამ მხრივ დიდი ადგილი **გაყიდვების კატეგორიას** უკავია, მისი წილი ვაკანსიებს შორის 20 პროცენტია. შემდეგ მოდის **სასტუმროებისა** და **რესტორნების მომსახურე პერსონალი** 10 პროცენტით, ხოლო მესამე ადგილს **კონსულტანტის თანამდებობა** იკავებს 8 პროცენტით.

მენეჯერებისა და ფინანსისტების სიმრავლეზე საუბრობს job.geo.com-ის მენეჯერი დავით არველაძეც: „ჩვენი სააგენტოს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ მაღალი მოთხოვნაა გაყიდვების მენეჯერის პოზიციაზე. ამ კატეგორიაში შედის **დისტრიბუტორი, ასევე ოფისის მენეჯერი.** ხშირად სჭირდებათ **ბუღალტრები** და **ადმინისტრაციული პერსონალიც“.**

როგორც ჩვენმა მოკვლევამ აჩვენა, საკმაოდ დიდია მოთხოვნა **ძიძებსა** და **დამხმარე ქალბატონებზეც,** რომლებსაც მაღალშემოსავლიანი ოჯახები ქირაობენ. მათი დასაქმება გამოცდილების მიხედვით ხდება და ანაზღაურება 450 ლარიდან 1000 ლარამდე მერყეობს. გარდა ამ პროფესიებისა, ასევე დიდი მოთხოვნაა **მზარეულის და მიმტანის** პოზიციაზეც.

სააგენტოების განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ზემოთ ჩამოთვლილ პოზიციებზე ვაკანსიები ხშირად აქვთ და თუ მოინდომებთ, აუცილებლად დასაქმდებით. თუმცა, აუცილებელია გაითვალისწინოთ ორი რამ: სამსახურის მაძიებელთა კომპეტენცია უნდა იყოს საკმაოდ მაღალი და ასევე, აუცილებელია თქვენ მიერ შესრულებული სამუშაო აკმაყოფილებდეს დამსაქმებლის მოთხოვნებს.

თიკო გურაშვილი

◎ დაინჯესტი

ხშირად მოეხვიეთ ერთმანეთს!

ცოლ-ქმარს შორის მოხვევების ოდენობა მათი ოჯახური კავშირის სიმყარის გაცილებით უფრო საინტერესო ინდიკატორია, ვიდრე სქესობრივი აქტების სიხშირე, დარწმუნებული არიან მეცნიერები ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

მოხვევა ჩუქნის ადამიანს არა მხოლოდ მგრძნობელობით კმაყოფილებას, იგი ასევე ხელს უწყობს კომფორტის, უშიშროების, ვინმესთან ერთიანობის გრძნობის შეგრძნების შექმნას. სამივე ეს შეგრძნება კი მყარი ურთიერთობის შექმნისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სექსი. ეს კარგი ახალი ამბავია იმ წყვილებისთვის, რომლებიც აგრძელებენ ერთმანეთის ნაზ სიყვარულს, როდესაც უკვე აღა-

რაა ენერგია ცოლქმრულ ვალდებულებათა შესრულებისთვის ყოველდღე. თანაც მკვლევარებმა უარყვეს პოპულარული აზრი იმის შესახებ, რომ ქალებს ხელს აძლევთ პლატონური ურთიერთობანი, მამაკაცებს კი სჭირდებათ მხოლოდ სექსუალური სიახლოვე. აღმოჩნდა, რომ ძლიერი სქესი სავსებით შეიძლება დაკმაყოფილდეს მოხვევითაც.

ფიქრი მავნებელია!

ქალებს ინტელექტის მაღალი დონით უჭირთ წყვილის მონახვა და ისიც, რომ ააგონ ურთიერთობა მამაკაცებთან, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ სპეციალისტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

სტატისტიკამ ასევე აჩვენა, რომ ქალები, რომლებიც საშუალოზე მეტს გამოიმუშავებენ, იყრებიან ქმრებთან სხვებზე უფრო ხშირად, აგრეთვე უფრო იშვიათად აჩენენ ბავშვებს. მეცნიერები ამას ხსნიან იმით, რომ წარმატებული ქალები უფრო ავტორიტეტული არიან და ნაკლებად ამტანები მამაკაცებთან, ვიდრე მათი ნაკლებად განათლებული თანატოლები. გამოკვლევის ავტორები ასევე დარწმუნებული არიან, რომ ინტელექტუალური მანდილოსნები ძალიან ხშირად უკეთებენ ანალიზს ურთიერთობებს, და ეს ხელს უშლის მათ – იყვნენ გულღიები და დამთმობები მამაკაცებთან.

◎ ტესტი

როგორ უმკლავდებით სტრესს სამუშაოზე?

ეს რომ გავიგოთ, უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს

1. ტელეფონით საუბრის დროს თანამოსაუბრესთან მოგიხდათ სერიოზული კონფლიქტი. თქვენ:

ბ) უმალვე ცდილობთ, ჩააქროთ კონფლიქტი;

ბ) საუბარს არც ამთავრებთ, ისე კიდებთ ტელეფონს;

გ) წყვეტთ მასთან საუბარს, ამბობთ, რომ ეს „სატელეფონო საუბარი არაა“.

2. კომპანიაში შეიცვალა ხელმძღვანელობა – თქვენ კი გამოგიცხადეს, რომ გათავისუფლებენ სამსახურიდან... თქვენ:

ა) სარგებლობთ მომენტით, რომ აიღოთ პაუზა, ყველაფერი მოიფიქროთ, ცოტა დაისვენოთ, და მხოლოდ შემდეგ დაუბრუნდებით შრომითი მოწყობის საკითხს;

ბ) მეორე დღესვე დაიწყებთ ახალი სამუშაოს ძებნას;

გ) დიდია იმის ალბათობა, რომ დეპრესიაში ვარდებით.

3. მოხვდით საავტომობილო საცობში, ამ დროს საქმიან შეხვედრაზე გაგვიანდებათ. როგორ რეაგირებას გააკეთებთ?

ა) ცდილობთ, რაღაც სხვა რამეზე გადაიტანოთ ყურადღება, გესმით, რომ, როგორც უნდა მოიქცეთ, ფრთები არ ამოგივათ;

ბ) ღიზიანდებით, ბრაზობთ გზების გადატვირთვის გამო;

გ) ლანძღავთ საკუთარ თავს, რომ ნახევარი საათით ადრე არ გამოხვედით.

4. სამუშაოზე თქვენი მორიგი პროექტის განხილვის დროს თქვენი გამოსვლის შემდეგ დამსწრეებმა თქვენზე სიცილი დაიწყეს. როგორ მოიქცევით?

ა) ძალიან არ გესიამოვნებათ, მაგრამ ამას არავის აგრძნობინებთ;

ბ) არაფერია აუტანელი, ყველაფერს ხუმრობაში გადაიტანთ;

გ) თუ თქვენს აზრს ასე არ აფასებენ, ადგებით და დატოვებთ თათბირს.

5. შიშის შესახებ სამი გამონათქვამიდან ამოირჩიეთ ის, რომელსაც ყველაზე მეტად იზიარებთ;

ა) „არც ერთი უბედურება არ არის ისეთი დიდი, როგორც შიში მის წინაშე“;

ბ) „ისინი, ვინც შიშის გავლენით მოქმედებენ, უფრო წინდახედულები არიან“;

გ) „ვისაც არა აქვს შიშის გრძნობა, არც იმის შესაძლებლობა გააჩნია, მიიღოს კმაყოფილება მისი დაძლევისგან“.

6. ხშირად მოგდით თავში აზრი: „ასე გამოვიდა, მე აქ ვერაფერს გავხდები“?

ა) ხშირად;

ბ) ზოგჯერ;

გ) იშვიათად.

7. დილით რომ გაიღვიძებთ, გებულობთ, რომ მოხდა დოლარის (ევროს) მკვეთრი დაცემა, თქვენ კი ამ დროს სახლში ინახავთ დანაზოგებს ამ ვალუტაში. თქვენი მოქმედება;



ა) უმალვე გარბიხართ უახლოეს გადამცვლელთან, კიდევ მეტი რომ არ დაკარგოთ;

ბ) გადაწყვეტთ, დაელოდოთ იმის იმედით, რომ კურსი კვლავ აიწევს;

გ) შეამოწმებთ თქვენს შეგრძნებებს ექსპერტების კომენტარებთან და განსაზღვრავთ მომავალ ნაბიჯებს, ოღონდ სიტუაციაში გარკვევის შემდეგ.

8. კოლეგები მიიწვიეთ რესტორანში. როდესაც ანგარიშის გადახდას დააპირებთ, აღმოაჩენთ, რომ არ გყოფნით სათანადო სახსრები. თქვენი რეაქცია:

ა) ვის არ მოსვლია ასეთი რამ, გვერდით ხომ კოლეგები არიან;

ბ) ძალიან უხერხულად გრძნობთ თავს, გრცხვენიათ და წითლდებით, ბოდიშს იხდით კოლეგების წინაშე, განწყობილება დღის ბოლომდე დათრგუნვილია;

გ) სირცხვილის გამო მზად ხართ, ყველაფერს გამოემშვიდობოთ.

9. უფროსმა გაგაკრიტიკათ. თქვენ:

ა) გადაწყვეტთ, რომ დღეს, უბრალოდ, თქვენი დღე არაა, და დაივიწყებთ მომხდარის შესახებ;

ბ) გაბრაზდებით, უფროსი მიგაჩნიათ დესპოტად, თავი კი უბედურად;

გ) კრიტიკას მიიღებთ მშვიდად და გააკეთებთ დასკვნებს.

10. ხელმძღვანელმა მიგიწვიათ საუბარზე ხვალისთვის და ჩაილაპარაკა, რომ იგი თქვენთვის მნიშვნელოვანი იქნება. თქვენ:

ა) ნათქვამს მიიღებთ ცნობად, თუმცა, წინასწარ საუბრის შინაარსის შესახებ არ დაფიქრდებით;

ბ) დაიწყებთ ფიქრს, რაზე იქნება საუბარი, თან მას განგაშით ელოდებით;

გ) დაელოდებით შეხვედრას, სასიამოვნო ამბების მოლოდინით.

11. სრულიად მოულოდნელად ხელმძღვანელი გთავაზობთ, გაიაროთ კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. როგორ აღიქვამთ ამას?

ა) გუნება გაგიფუჭდებათ, იფიქრებთ, რომ ახლა გაცილებით ნაკლები თავისუფალი დრო გექნებათ;

ბ) გაგეხარდებათ, დაინახავთ შესანიშნავ შესაძლებლობას, გაიგოთ რაღაც ახალი თქვენთვის;

გ) მოეკიდებით ამას მშვიდად, როგორც რაღაც გარდაუვალს.

12. ხშირად ხდება თქვენში განწყობილების მკვეთრი ვარდნები?

ა) პრაქტიკულად არა;

ბ) ზოგჯერ;

გ) ხშირად.

13. ხშირად იძინებთ და იღვიძებთ აზრებით სამუშაოს შესახებ?

ა) დიახ;

ბ)ასეთი რამ მხოლოდ ავრალურ პერიოდებში ხდება;

გ) არა, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

შეაჯამეთ ქულები ცხრილის გამოყენებით და გაეცანით დასკვნებს

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
ა	1	2	1	2	1	3	3	1	2	2	3	1	3
ბ	3	1	3	1	3	2	2	2	3	3	1	2	2
გ	2	3	2	3	2	1	1	3	1	1	2	3	1

13-21 ქულა. თქვენ ხართ ადამიანი, რომელმაც არ დაკარგა უნარი, შეინარჩუნოს სულიერი წონასწორობა. თქვენ მიგაჩნიათ, რომ სტრესისა არ უნდა გეშინოდეს, უნდა ეცადო, მართო იგი, და, თუ წარმოიქმნება ექსტრემალური სიტუაციები, როგორც წესი, მოქმედებთ თავშეკავებულად.

22-30 ქულა. ზოგჯერ თქვენ თვითონ გადაგხდებათ ხოლმე ისტორიები, რომლებიც შეიძლება არც მომხდარიყო. მიუხედავად ამისა, კრიტიკულ სიტუაციებში თქვენი ორგანიზმი პოულობს ფარულ რეზერვებს – და თქვენ ღირსეულად უპირისპირდებით სტრესს. გაითვალისწინეთ ძველ ჭკვიან ადამიანთა სიტყვები: „გონიერმა ადამიანმა იცის, როგორ დაძლიოს სირთულეები, ბრძენმა კი – როგორ აიცილოს ისინი თავიდან“.

31-39 ქულა. თქვენ ყოველთვის როდი უმკლავდებით სტრესს, და ზოგჯერ გიჭირთ, მართოთ საკუთარი ემოციები. ეცადეთ, შეძლებისდაგვარად, გვერდი აუაროთ კონფლიქტებს, ხოლო ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც სულში წონასწორობა და სიმშვიდეა.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 568 82-09-84..
გ. ახვლედიანის ქ. №19.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– ეძთანო, მე გთხოვეთ, რომ მესამეპალატელი ავადმყოფისთვის სისხლის ანალიზი აგეღოთ.

– დიახ, ავიღე, მხოლოდ ხუთი ლიტრი გამოვიდა.

* * *

– დაშენკა, წავიდეთ, მინდორში ვარსკვლავებს ვუყუროთ!

– არა! უპრეზერვატივოდ ვარსკვლავების საყურებლად არ დავდივარ!..

* * *

– თქვენ შემოდიხართ რუსეთის ტერიტორიაზე, იარაღი, ნარკოტიკები, ალკოჰოლური სასმელები გაქვთ?

– არა.

– მაშინ გაგიჭირდებათ.

* * *

– ჩემო შვილებო! – მიმართავს მღვდელი მრევლის წევრებს, – რა უნდა გააკეთოთ მანამ, სანამ ღმერთს ცოდვების მიტევებას სთხოვთ?

– ცოდვა უნდა ჩავიდინოთ! – ისმის დარბაზიდან გოგოს ხმა.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24